პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მიტ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 1. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 6—48

რედაქტორთან საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

წლის მოწერის ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

№ 94 პარასკევი, 27 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი • ფასი 20,000 მან. № 94

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

რუსეთის კომპარტიის ყრილობაზე მოხდა ცეკა და საკონტროლო კომისიის არჩევნები.

ხელი მოაწერეს რუსეთ-სპარსეთის საფოსტო კონვენციას,

ამხ. ლიტვინოვის განცხადება დანიასთან ხელშეკრულების შესახებ.

შეთანხმება გერმანიასთან საჰაერო გემების შესახებ.

კუნოს მოელის გადადგომა.

საფრანგეთის და ოსმალეთის წინააღმდეგობანი ლოზანის კონფერენციაზე

საქ. კომუნ. პარტ. ტფილ. კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, 27 აპრილს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი წამოაყენონ თვით სარაიონო კომიტეტებმა და უჯრედებმა.

კომ. ტფმდივნის მაგიერ ვ. ივანოვი.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(თეზისები აგიტატორებისათვის).

1. ის ხანა, რომელსაც ჩვენ ახლა განვიცდით და რომელიც ხასიათდება ერთის მხრით მხარის სასოფლო მეურნეობის ნელი, მაგრამ შეუწყვეტელი გაუმჯობესებით და მეორე მხრით იმიტომ, რომ საბჭოთა რესპუბლიკები კვლავ კაპიტალისტურ რკალში მოქცეული, პირველ რიგში აყენებს ორ ძირითად ამოცანას: ერთია ფინანსიურ-ეკონომიური ხასიათის და მეორე—პოლიტიკურის.

2. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ დაწყებულმა სახალხო მეურნეობის აღდგენამ, ვაჭრობისა და მრეწველობის გამოცოცხლებამ, მწვავედ დააყენა საკითხი გაცვლის საშუალებების კარგი, მტკიცე ვალიუტის დაჩქარებით შექმნის შესახებ, ახლა არსებულ ქაღალდის ფულების ნაცვლად, რომელთა ღირებულება ყოველ დღე ეცემა.

ასეთი მერყევი ვალიუტის არსებობის პირობებში შეუძლებელია ფიქრიც ქვეყნის საწარმოო ძალების სერიოზულ განვითარებაზე და ჩვენი ვაჭრობა მრეწველობის აღდგენაზე. მანეთის სტაბილიზაცია—სწორედ ეს არის საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური ფინანსიურ-ეკონომიური ამოცანა.

ამიერ-კავკასიის სამეურნეო ცხოვრების პირობებში, როცა არსებობს საკუთარი ვალიუტა, ეს ამოცანა განსაკუთრებით უდიდეს მნიშვნელობას იღებს. ამიერ-კავკასიის საკუთარ მანეთს ადვილათ მოელის ფასის დაკარგვის საფრთხე, რასაც მეტად სერიოზული შედეგები ექნება ჩვენი ეკონომიკისათვის.

3. კაპიტალი, რომელსაც არ სძინავს და რომელიც ფარულ ფორმებში განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა რესპუბლიკებთან, გვაიძულებს ჩვენ უფრო შევამტკიცოთ ჩვენი რიგები, უფრო მტკიცედ შევაკავშიროთ ყველა მშრომელები, შევქმნათ მუშებისა და გლეხების უძლეველი მებრძოლი კავშირი. ქალაქისა და სოფლის მტკიცე კავშირი თავდებია საბჭოთა ხელისუფლების ძალის და ურყეობის. ამ კავშირის საფუძვლები უკვე ჩაყრილია, საჭიროა მათი განმტკიცება. აი, კომუნისტური პარტიის ძირითადი ამოცანა.

4. ამიერ-კავკასიის მანეთიანის სტაბილიზაციის მიზნით ჩვენ შეუწყვეტლივ განვაგრძობთ თავის ფინანსიურ-ეკონომიურ პოლიტიკას საგადასახადო პოლიტიკის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, ქაღალდის ფულის ემისიის შემცირებას და ამასთანავე ყოველგვარად უწყობთ ხელს საქონლის ბაზრის ტევობის შესაძლებელ გადიდებას, ამავე დროს ჩვენ ვქმნით აუცილებელ წინასწარ პირობებს თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის—ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის გაძლიერებისათვის და ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებისათვის.

ვაბამთ რა გლეხობას საქონლისა და ფულის ტრიალის წრეში და ვქმნით რა პირობებს გლეხობის ბაზარზე აუცილებლათ გამოსვლისათვის, ჩვენ ამით სტიმულს ვაძლევთ სასოფლო მეურნეობის პროდუქციის—ამიერ-კავკასიის ამ უმთავრესი პროდუქციის გადიდებას, გლეხობას კი—შესაძლებლობას გამოიყენოს თავისი საწარმოო ძალა, განავითაროს თავისი სამეურნეო ინიციატივა და გააძლიეროს თავისი კეთილდღეობა.

5. მეურნეობის ნატურალური ფორმებიდან ფულის მეურნეობაზე გადასვლა ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით აუცილებელია. მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობები იმ მაღალი ძვირფასი კულტურების (მებამბეობა მეთამბაქოეობა. მევენახეობა და სხვა) განვითარებისათვის, რომლებითაც ასე მდიდარია ა.-კ ს. ფ. ს. რ.

მათი აყვავება დაიწყება მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ამიერ-კავკასია ეზიარება ფულისა და საქონლის ტრიალის ფორმებს.

6. გადასახადის ნატურალური ნაწილი სახელმწიფოს აძლევს პარტიის მნიშვნელოვან მარაგს, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია მანევრები აწარმოოს მუშების და სახელმწიფო მოსამსახურეების აუცილებელი კატეგორიისათვის სურსათის მომარაგების საქმეში. გადასახადის შეკრების დროს სავსებით და სრულიად უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი სასურსათო საგადასახადო მოქმედების დროს მიღებული გამოცდილება და საუკეთესო ტრადიციები.

7. უყურებთ რა გლეხობას მოთხოვნილებას სახელმწიფოს წინაშე თავისი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების შესახებ, ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ ის გადასახადის შეკრების ზედმეტი და ამ ჟამად არა საჭირო მეთოდებიდან, რომლებიც მის უკმაყოფილებას იწვევდენ. ეკონომიური აუცილებლობით გამოწვეული გლეხობაზე დადებული გადასახადების მრავალრიცხვიანობა, გლეხობაში უნებლიეთ ქმნიდა წარმოდგენას მათი გადასახადებით უზომოთ დატვირთვის შესახებ. მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრებმა და კაპიტალის ხელის შემწყობებმა თავისი მიზნებისათვის გამოიყენეს ეს მოვლენა და ყოველგვარი საშვალებებით უწყობდენ ხელს ამ უკმაყოფილებას. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცედ უნდა გაატაროს ცხოვრებაში ამიერ-კავკასიის გლეხობაზე დადებული გადასახადების (სასურსათო, შრომის და ტვირთზიდვის, შემოსავლის კვალობაზე-პროგრესიული, საკომლო ქონების კვალობაზე და სხვა ადგილობრივი გადასახადების) გაერთიანებ და შემოიღოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მან უნდა შექმნას სოფლის მეურნეობის დაბეგვრის ისეთი სისტემა, რომელიც არ გაუძნელებს მას, როგორც ეს იყო წინეთ, გლეხობის სამეურნეო ანგარიშიანობას და რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემდა თავის დროზე და სწორათ აღრიცხონ თავისი ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე და ამ აღრიცხვასთან ერთად შეადგინონ თავისი მეურნეობის სამეურნეო გეგმა.

8 ვცვლით რა ნატურალური დაბეგვრის ნაწილს ფულით და ამიერ-კავკასიის ზოგიერთ რაიონებში შემოგვაქვს რა გადასახადი მხოლოდ და მხოლოდ ფულით, ჩვენ ამით უშუალო სარგებლობას ვაძლევთ გლეხის მეურნეობას, ვამცირებთ მის ხარჯებს გადასახადის შესატანათ, საშვალებას ვაძლევთ მას გამოარჩიოს მან მოსაშენებლათ მისთვის უფრო ხელსაყრელი კულტურები და ვუმსუბუქებთ მას მისთვის უფრო სასარგებლო საქმიანობის გამონახვას. მეორე მხრით, სახელმწიფოც იღებს უშუალო სარგებლობას დაბეგვრის ნაწილობრივ ფულით გადახდაზე გადატანით, რადგან ამით თავიდან არის აცილებული ხარჯები სასურსათო ფონდების შეკრებათ და შესანახათ, ადვილდება ტრანსპორტის მუშაობა, მცირდება გადასახადის შემკრები აპარატი.

რაც შეეხება ადგილობრივ ძვირფას კულტურებს, ისინი შეგუებული არიან სწორეთ განვითარების საქონლის ფორმებთან. ამ კულტურების პროდუქტების გადასახადის სახით მიღება დაკავშირებულია მათ ზედმიწევნით კლასიფიკაციასთან, მათ კარგად მოვლასა, შენახვასა და სხვა დაბრკოლებებთან.

9. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებით, საბჭოთა ხელისუფლებას უფრო ადვილათ შეუძლია დასძლიოს გადასახადების სიმძიმის მეურნეობის სიძლიერესთან შეფარდების ამოცანა. ეს გადასახადი, რომლითაც გათვალისწინებულია მეურნეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები საშუალებას აძლევს კომუნისტურ პარტიას გაატაროს სოფელში თავისი კლასობრივი პოლიტიკა, დაიცვას ღარიბებს და საშუალო გლეხების ინტერესები, სავსებით განახორციელოს სოფელსა და ქალაქს შორის მტკიცე კავშირის დამყარების ამოცანა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოფლათ შექმნას მტკიცე დასაყრდენობი.

რ. კ პ. ამ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

საგადასახადო პოლიტიკა სოფლად

სასოფლო მეურნეობის აღორძინების, გლეხსა და მუშას შორის კავშირის განმტკიცების, საბჭოთა ხელისუფლებასთან გლეხობის დაახლოვების საქმეში უდიდესი ადგილი უკავია ჩვენს საგადასახადო პოლიტიკას სოფლად.

ეს პოლიტიკა, ობიექტიურ პირობების და სოციალურ ძალთა განწყობილების მიხედვით, რამოდენიმეჯერ შეიცვალა რევოლიუციის განმავლობაში.

გახურებული სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო მიემართა სასურსათო გაწერისათვის. ამ ზომას, მიზანშეუწონელს სამეურნეო თვალსაზრისით, მბრძანებლობით მოითხოვდა რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების საჭიროება.

სასურსათო გაწერის საშუალებით სოფლიდან ამოწურულ იქნა პურეულის და სხვა პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობა და ამით ასე თუ ისე დაკმაყოფილებულ იქნა წითელ არმიის და ნაწილობრივ სამრეწველო მუშების მინიმალური მოთხოვნილებანი, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა აეტანათ უთვალავ მტრების იერიშები და გაენადგურებიათ ისინი.

სამაგიეროდ სასურსათო გაწერამ დასცა სასოფლო მეურნეობა, გლეხობას სტიმული წაართვა შრომის ინტენსივობის, ზედმეტი პროდუქციის დამზადების; ამან გამოიწვია მასში უკმაყოფილება.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გახდა მეტი ყურადღება მიგვექცია სასოფლო მეურნეობის და გლეხობის ინტერესებისათვის.

სასურსათო გაწერა შეცვლილ იქნა სასურსათო გადასახადით, რომლის მიხედვით გლეხობის თავისუფალ განკარგულებაში რჩებოდა მათ მიერ შექმნილი პროდუქტები, გარდა მცირე წინასწარ განსაზღვრულ ნაწილისა, რასაც ის იღებდა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

სასურსათო გადასახადმა ფართე გასაქანი მისცა გლეხობის სამეურნეო ენერგიას, გამოაცოცხლა გლეხური მეურნეობა და გაზარდა სახალხო სიმდიდრე.

შემდეგ, პრაქტიკამ გამოააშკარავა დეფექტები თვით სასურსათო გადასახადში, რაც მდგომარეობდა მის მრავალსახიანობასა და სირთულეში.

მთავრობამ მრავალსახიანი ნატურგადასახადი შესცვალა ერთიანი ნატურგადასახადით. ამასთან, გამონაკლის შემთხვევებში, სადაც ეს უცილებელი იყო, დაუშვა მისი შეცვლა ფულის გადასახადით.

ამ გვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სასოფლო გადასახადის სფეროში თანდათან ხდებოდა ევოლიუცია. ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, მთავრობა ცდილობდა შეექმნა პირობები სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად და გლეხობის ინტერესების უკეთ დასაცავად.

მაგრამ მიუხედავად ყველაფერ ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ დღემდე არ არის სასურველად მოგვარებული საგადასახადო საქმე სოფლად.

დღეს სოფლის მოსახლეობას აწევს სხვა და სხვაგვარი გადასახადი: ერთიანი ნატურალური, ტვირთ-ზიდვის, შემოსავალზე პროგრესიული გადასახადი; ამასთან კიდევ ადგილობრივი გადასახადები. ეხლა გლეხს შეიძლება მიადგნენ სხვა და სხვა გადასახადების ასაკრეფად სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელნი სხვა და სხვა დროს.

ეს გარემოება, ერთი მხრივ, გულისხმობს საგადასახადო აპარატის შტატის სიმრავლეს, რომლის შენახვა სახელმწიფოს ძვირად უჯდება; მეორე მხრივ—გლეხობას უძნელებს თავიანთ საგადასახადო მოვალეობის პირნათლად და დროზე შესრულებას, ამასთან ჰქმნის მათში ისეთ შთაბეჭდილებას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ფრიად ამძიმებს მათ გადასახადებით, თუნდაც უკანასკნელის საერთო და რეალური რაოდენობა მცირე იყოს.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელიც შემოღებულია ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მთავრობის დეკრეტით, ბოლოს უღებს ამ სიძნელეთ და უხერხულობათ.

სხვა და სხვაგვარი, ზევით ჩამოთვლილი გადასახადების მაგივრად წესდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. გლეხს წინასწარ გარკვეულად ეცოდინება, რამდენი და როდის უნდა გადაიხადოს, და ის ამის მიხედვით დაიჭერს ანგარიშს და წარმართავს თავის მეურნეობას.

გადასახადის რაოდენობის დაწესების დროს მხედველობაში მიიღება ამა თუ იმ მეურნეობის საგადასახადო შეძლებლობა, რომელიც ამ მხრივ დაწვრილებით იქნება გამოკვლეული.

სახელმწიფოსათვის გამოსადეგ კულტურების წაქეზების და მეურნეობის მეთოდების გაუმჯობესების მიზნით, შემოღებულია უდიდესი შეღავათები. სავსებით განთავისუფლებულია გადასახადისაგან მაღალი კულტურით დათესილი ადგილები, როგორიცაა: ბამბა, სამკურნალო მცენარეულობა ჩაის პლანტაციები და სხ.; აგრეთვე თავისუფალია გადასახადისაგან ჯიშიანი საქონელი და მეფუტკრეობა. გარდა ამისა გადასახადის 25 პროცენტით თავისუფლდებიან ის მეურნეობანი, რომლებშიაც გაწეულია მნიშვნელოვანი სამელიორაციო სამუშაო.

დიდი შეღავათებია დაწესებული წითელ არმიელებისა, მეზღვაურებისა და სამოქალაქო ომის ინვალიდებისათვის.

გადასახადი გამოიანგარიშება ხორბლის ერთეულით.

ამას აქვს უაღრესი მნიშვნელობა სოფლის მეურნეთათვის. ბონებით შეუძლებელი იყო გადასახადის გამოანგარიშება, რამდენადაც ბონის კურსი მუდმივ რყევაშია. რაც შეეხება ოქროთი გამოანგარიშებას, ეს მეტად საზიანო იქნებოდა გლეხობისათვის. საქმე ის არის, რომ პურეულის ფასი დაცემულია მაშინ, როცა ოქრო სულ ზევით მიხტის. გლეხობას გადახდება სწორედ იმ მთავარი პროდუქტის—ხორბლის ანგარიშით, რომელიც მას მოყავს. ეს გაცილებით ადვილი იქნება მისთვის.

ფრიად საყურადღებოა და ხაზგასასმელი, რომ გადასახადის გაღება, დეკრეტის მიხედვით, შეიძლება ფულით, ან საგნებით, ან ნაწილობრივ

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჰგულისხმობს გადასვლას ნატურალურიდან ფულის მეურნეობაზე. ნატურგადასახადის ფულით შეტანის დაშვება საფეხურია სოფელში ნატურგადასახადის გაუქმებისა და ფულის მეურნეობაზე გადასვლისაკენ.

ჩვენს ქვეყანაში, რომელიც უფრო, მომხმარებელი ქვეყანაა, ვინემ პურეულის გამსაღებელი, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ამასთან ეს გარემოება ასწევს მოთხოვნილებას ფულზე და ხელს შეუწყობს ჩვენი ფინანსების გაჯანსაღებას, მანეთის კურსის განმტკიცებას.

საერთოდ ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული სასოფლო მეურნეობის აყვავების, გლეხობის მდგომარეობის და ქვეყნის ფინანსიურ-ეკონომიურ პირობების გაუმჯობესების მხრივ.

საჭიროა ფართედ განვუმარტოთ გლეხობას ამ ახალი ღონისძიების შინაარსი და მნიშვნელობა და შევუდგეთ წინასწარ მზადებას მის უმტკივნეულოდ გატარებისათვის ცხოვრებაში.

სასოფლო სამეურნეო კრედიტი

გლეხობასთან კავშირის განმტკიცების მიზნით აუცილებლად საჭიროა სოფლად აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება, პრაქტიკული საქმიანობა.

სასოფლო მეურნეობის განვითარებაში უაღრესათ დაინტერესებულია როგორც თვით მშრომელი გლეხობა, ისე საბჭოთა სახელმწიფო მათი მიზანი და ინტერესები სრულებით ერთი და იგივეა ამ საკითხში; ეს კი საწინდარია მუშურ-გლეხური დიქტატურის გაძლიერების და პროლეტარული რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების.

თავისი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა გლეხობამ მიწასთან ერთად მისი დამუშავების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებებიც მიიღოს. დღევანდელ პირობებში მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია და ქვეყნის ეკონომიური აღორძინება.

განვლილი წლების გაჭირვებით სოფელი იმდენად დაღარიბებული შეიქნა, რომ ის მხოლოდ საკუთარი ძალით ვერ შესძლებს მეურნეობის გაუმჯობესების სასურველი ტემპით წარმოებას აუცილებლათ საჭიროა მის ფეხზე წამოსაყენებლათ დახმარების მიწოდება და ხელმძღვანელობის გაწევა. დახმარების ერთი საუკეთესო ფორმა არის სასოფლო სამეურნეო სესხის მიცემა, კრედიტი.

თუ ეს ასეა საზოგადოთ და სოფლისთვის კრედიტის მიწოდების საქმეს უკანასკნელ დროს დიდი ყურადღებით ეპყრობიან მთელს საბჭოთა ფედერაციაში, განსაკუთრებითი მნიშვნელობა მას სწორედ საქართველოს პირობებში აქვს.

ძვირფას მცენარეთა კულტურა, რომელიც მეტად ჩამოქვეითდა განვლილ წლებში და რომლის აღდგენა განზრახულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, დიდ ერთდროულ ხარჯებს მოითხოვს. მათი დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ და სოფლის ცალკე მეურნეობა სახელმწიფოს დაუხმარებლათ ვერ გაიღებს ასეთ საშუალებებს. სახელმწიფო კი დაინტერესებულია სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა რაოდენობის გადიდებაში. ჩვენ სოფელს შეუძლია დაამზადოს ძვირფასი და მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი, როგორიცაა: აბრეშუმი, მატყლი, თამბაქო, ღვინო და სხვა. ასეთი საქონლის რაოდენობის გაზრდა კი მეტად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას და მაშასადამე სახელმწიფო თვით არის დაინტერესებული ხელი შეუწყოს ამ ნაწარმოებთა დამზადებას, აქედან აშკარაა სოფლისთვის ფინანსიური დახმარების, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მიცემის საჭიროება.

საქართველოში საკრედიტო ამხანაგობები ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს არსებობდენ და შედარებით ძლიან გავრცელებულიც იყვნენ, მაგრამ დღეს ასეთები სრულებით არ მოიპოვება. საჭირო არ არის ძველი ფორმებით მათი აღდგენა, როდესაც ისინი ემორჩილებოდნენ სახელმწიფო ბანკის განყოფილებებს და ცალკე, კოოპერაციასთან დამოუკიდებლათ არსებობდნენ. დღეს, როდესაც საქართველოში უმთავრესად სამომხმარებლო კოოპერაცია არსებობს, მასთან პარალელურათ საკრედიტო კოოპერაციის დაარსება სრულებით ზედმეტია და მიზანშეუწონელი.

მომხმარებელ კოოპერატივებს შეუძლიათ სასოფლო სამეურნეო კრედიტის მიწოდება გლეხობისათვის. ცალკე საკრედიტო ამხანაგობების დაარსება თავისი შტატით, კანცელარიით და მოწყობილობით ზედმეტი ხარჯების გაღებას მოითხოვს.

მომხმარებელი ამხანაგობები სოფლად თავიდანვე ისახავდენ მიზნათ მეურნეობისთვის ხელის შეწყობას. სამეურნეო იარაღების, თესლეულობის საძაღლო ნივთიერებათა და სხვათა მიწოდებით. საშუალებათა ნაკლებობა, საბრუნავი თანხის სიმცირე ხელს უშლიდა მათ გაეფართოებიათ თავიანთი მუშაობა და მიეღწიათ დასახული მიზნისთვის. ისინი ცდილობდენ საწევრო პაის გადიდებით საწარმოო თანხის გაზრდას, მაგრამ წევრების სიღარიბე ყოველთვის წინ ეღობებოდა მათ კეთილ განზრახვებს. მათ მიერ წინათვე დასახულ მიზნის განხორციელება ადვილათ განსახორციელებელია, თუ სახელმწიფო და მისი ფინანსიური ორგანოები გაუწევენ მათ დახმარებას სესხის მიცემით.

გლეხობას ფული, ბონები კი არ ეჭირვება თავისდათავად, არამედ სასოფლო მეურნეობაში საჭირო ინვენტარი, სავარგისი თესლეულობა და სხვა საქონელი. ფულიც რომ ქონდეს, მას ხშირად მაინც გაუჭირდება საჭირო საგნების შეძენა დაუხმარებლათ. ვინ-ღა უნდა მიაწოდოს მას ეს საქონელი, თუ არა მომხმარებელმა საზოგადოებებმა, თუ ის სესხით ხელში უნდა გაუშვათ სპეკულიანტ-ვაჭრების დუქნებისკენ? ამნაირათ უმჯობესია გლეხობას დახმარება გაეწიოს არა მაინცა და მაინც ფულით, არამედ მისთვის საჭირო ინვენტარით და მასალით. თავის მხრივ გლეხობას შეუძლია სესხი გაისტუმროს თავისი ნაწარმოებით, რომლის მოთხოვნილება ბაზარზე საკმაოა. ამ ფუნქციას საუკეთესოთ შეასრულებს სოფლის მომხმარებელი საზოგადოებები და ის აუცილებლათ მათ უნდა დაეკისროს. რამდენათ ვიცით ტფილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივი დაახლოებით ასე უდგება საკითხს და ის უკვე ცდილობს თავის სამოქმედო რაიონის სოფლებში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმის მოწესრიგებას. მის მაგალითს დანარჩენმა კოოპერატივებმაც უნდა მიბაძონ.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმის მომხმარებელ კოოპერაციის ხელში გადასვლით და მისი დაუყოვნებლივი ორგანიზაციით დიდათ მოიგებს როგორც თვით გლეხობა, ისე კოოპერაცია და მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

ი. ბ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

კამათი ეროვნულ საკითხის გარშემო

23 აპრილის სხდომა.

ამხ. ბუდუ მდივანის სიტყვა.

ეროვნული შუღლა შემოსლა ამიერ-კავკასიაში მოსპობილია.

მოსკოვი. 24 აპრილი. რუსეთის კომპარტიის ყრილობის 23 აპრილის სხდომაზე ამხ. სტალინის მოხსენების გამო გამოვიდა ამხ. ბუდუ მდივანი, რომელმაც მოიწონა ამხ. სტალინის მიერ საკითხის პრინციპიალურად დაყენება და არ ეთანხმება მას საქართველოში არსებულ მდგომარეობის შეფასებაში. რუსეთის კომუნისტები, ამბობს ამხ მდივანი, ყოველთვის ამაყობდენ ეროვნულ საკითხის სისწორით გადაჭრით მაგრამ თუ თეორეტიულად ყველაფერი კარგად მიდის, პრაქტიკაში ჩვენი პროგრამა ეროვნულ საკითხში ასევე წარმატებით არ ხორციელდება ეროვნული საკითხი—არის პროგრამის და არა ტაქტიკის საკითხი თავის წერილებში ვლადიმერ ილიჩი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ პატარა ერებს, რათა ამგვარად მოვიპოვოთ მათი ნდობა. პროლეტარიატს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ ფორმალური თანასწორობით. ეროვნული საკითხი სრულიად არ იფარგლება მხოლოდ ენის ან კულტურულ და ეროვნულ ავტონომიის საკითხით. პირველ ყოვლისა აქ როლს თამაშობს სამეურნეო მომენტი. აქედან უნდა გამოვიდეთ და ყველაფერი თავისთავად გადასწყდება.

შემდეგ ამხ. მდივანი ეხება ამიერ-კავკასიის ფედერაციის სხვა და სხვა ერთა ურთიერთობას და ამბობს: „იქ ეროვნული შუღლა-შემოსლა მოსპობილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების მომენტიდან. ადამიანთა მძულვარების და შოვინისტურ გრძნობათა გამოხატულებას ადგილი არ ჰქონია და არც ექნება, ვიდრე ამ რესპუბლიკებში არის კომუნისტური პარტია.

ამხ. მახარაძის სიტყვა.

ეროვნული საკითხი უნდა გადასწყდეს ამხ. ლენინის პროგრამის მიხედვით.

ამხ. მდივანის შემდეგ გამოდის ამხ. მახარაძე, რომელიც ეხება საქართველოს გასაბჭოების ისტორიას. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველო მენშევიკების დროს იყო დამოუკიდებელი სიტყვით, ხოლო გასაბჭოების შემდეგ იგი გახდა დამოუკიდებელი საქმით, ამხ. მახარაძე გამოსთქვამს იმედს, რომ დღევანდელი ყრილობა გამოიტანს დადგენილებას ეროვნულ საკითხში იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც შეიმუშავა ვლადიმერ ილიჩმა.

24 აპრილის სალამოს სხდომა.

ყრილობამ მიიღო ამხ. კამენევის თეზისები

მოსკოვი. 25 აპრილი 24 აპრილის სალამოს სხდომაზე საგადასახადო პოლიტიკის საკითხში მიღებული იქნა თეზისები, რომელიც წარმოადგინა ამხ. კამენევმა და დაამტკიცა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

თეზისების შესწორება.

ამხ. კამენევის თეზისებში შეტანილ იქნა შემდეგი შესწორებანი. 7-ე თეზისს დაემატა: „იმავე მიზნით გადასახადის შესატანად უნდა დაინიშნოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ვადა, რომელიც უნდა იქნას შეფარდებული მოსავალის შენახვის და ნარჩენების გაყიდვის მომენტთან. სასოფლო-მეურნეობის აღორძინების მიზნით საჭიროა ამასთან ერთად გატარებულ იქნას ცხოვრებაში წაქეზება, რომელიც მისაწდომი იქნება გლეხთა ფართო მასებისათვის მიწის დამუშავების საშუალებათა გაუმჯობესების მხრივ. რაიონებს, თემებს და კოლექტივებს, რომელთაც თავი-გამოიჩინეს ამ მხრივ, მიწათ-მოქმედების ორგანოების წარდგენით უნდა მიეცეთ პრემიები—მათ ხვედრ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაწილობრივ შემცირების სახით—საერთო ჯამის 1 პროც. ფარგლებში.

თეზისების 8-ე მუხლიდან ამოიშალოს დასაწყისი შემდეგ სიტყვებამდე: „ბრძოლის ერთ-ერთ გადამწყვეტ საშუალებათ“... თეზისის ბოლოს დაემატოს სიტყვები: „რათა თავიდან იქნას აცილებული“.

რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის არჩევნები.

ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა.

24 აპრილის საღამოს სხდომაზე არჩეულ იქნა რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ ანდრეევი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ძერჟინსკი, ევდოკიმოვი, ზალუცკი, ზელენსკი, ზინოვიევი, კალინინი, კამენევი, კვირინგი, კროვი, კომაროვი, კოროტკოვი, კუბიაკი, ლაშევიჩი, ლენინი, მანუილსკი, ნიკოლაევა, მიხაილოვი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, პეტროვსკი, პიატაკოვი, რადეკი, რაკოვსკი, რუძუტაკი, რიკოვი, სმირნოვი, სოკოლნიკოვი, სტალინი, სულიმოვი, ტომსკი. ტროცკი, უგლანოვი, უხანოვი, ფრუნზე, ხარიტონოვი, ცურიუპა და ჩუბარი.

რუსეთ. კომპ. ც. კ. კანდიდატებად არჩეული არიან: ამხ. ბუბნოვი, კოგანოვიჩი, ლებედევი, ხრიპკინი, რუმიანცევი, უვიგაევი, მოსკვინი, კახიანი, ჩუდოვი, ორახელაშვილი, რისკულოვი, მიასნიკოვი, მოროზოვი, ლეპსე, კოლოტილოვი, ბადაევი და ნარიმანოვი.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შემადგენლობა.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებათ არჩეული არიან: ამხ. კუიბიშევი (თავმჯდომარეთ), იაროსლავსკი, კისელიოვი, გუსევი, იანსონი, ილიინი, ჩუცკაევი, სოლცი, შკირიატოვი, შვარცი, პოზერნი, კრივოვი, ბუმაჟნი, შვერნიკი, კოსარევი, ციხონი, პრავდინი, ბუნკში, კაკტინი, პეტერსი, რადუს, ზენკოვიჩი, კრუმინი, მურალოვი, აკულოვი, კუჩმენკო, ნოვოსელოვი, ლისიცინი, კაპრანოვი, ორეხოვი, რახიმბაევი, ლენგნიკი, ჩუნცოვი, პასტუხოვი, გონჩაროვი, პ ნოვი, კოროსტილევი, კომისაროვი, პილაევი, მალახოვი, ბრიკოვი, ფომინი, კაკოვინი, ხედოვი, კოლკოვი, ნახაროვა, ხოხნოვსკი, მედნიშ, მანცევი, ვასილიევი და ამოსოვი.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის კანდიდატებათ არჩეული არიან: ამხ. რადჩენკო, გერასიმოვი, ვარეიკისი, ახატკინი, როზენმანი, მინკოვი, რახტოპჩინი, ნოხოვი, ფირსოვი და კლიავა კლიავინი.

იაპონია და რუსეთი

სახალინის ნავთის სიმდიდრე ამ უკანასკნელ წლებში იწვევს განსაკუთრებულ ყურადღებას იაპონიისა და ამერიკის მხრით, რომლებიც მეტოქობენ ურთი-ერთ შორის მშვიდ ოკეანეზე მფლობელობაში. თუ დიდი ომის დაწყებამდე ეკონომიური ზრდა-განვითარება და ძალა მოპოვებულ ნახშირისა და რკინის რაოდენობით განიზომებოდა, ამ ჟამათ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალის ერთ ერთ უდიდეს ფაქტორს ნავთი წარმოადგენს. იაპონიის კაპიტალისტები უკვე სამი წლის განმავლობაში ცდილობენ მოიპოვონ სახალინის ნავთის სიმდიდრის ექსპლოატაციის მონოპოლია. ცნობამ სინკლერისათვის კონცესიების გადაცემის შესახებ იმდენათ ააღელვა იაპონიის კაპიტალისტები რომ უკანასკნელებმა იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან დამოუკიდებლათ განიზრახეს ს. ს. რ. კავშირის საკონცესიო კომიტეტთან მოლაპარაკების გამართვა სახალინის სიმდიდრეთა ექსპლოატაციის უფლების მათთვის გადაცემის შესახებ.

მიღებული ცნობები ამბობენ, რომ საკითხი სახალინის ნავთის სიმდიდრის ექსპლოატაციის შესახებ მოლაპარაკების სფეროდან საქმისაკენ გადავიდა და ამ ჟამათ უკვე მიღებულია მთელი რიგი ზომები ექსპედიციის მომზადებისათვის სახალინის გამოკვლევის მიზნით.

აღსანიშნავია ამერიკელ ბურჟუაზიის ინტერესი სინკლერის კონცესიებისადმი სახალინზე. სინკლერის აქციებზე წინასწარ გახსნილმა ხელმოწერამ ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო. ამერიკის ბანკების სინდიკატმა ნიუ-იორკში შეიძინა სინკლერის საზოგადოების აქციები 20,000,000 დოლარის თანხაზე. ეს თანხა დაუყოვნებლივ იყო შეტანილი საზოგადოების კასსაში, დაწყებულია აგრეთვე სახალინის ნავთის სიმდიდრის გამოსაკვლევ აპარატის ორგანიზაცია: სინკლერის წარმომადგენელმა ტემპლტონმა იაპონიელ კორესპონდენტების კითხვაზე—რას მოიმოქმედებს საზოგადოება თუ იაპონიის საოკუპაციო ხელისუფლება არ დაუშვებს საზოგადოების წარმომადგენლებს კუნძულზე წინასწარ მუშაობისათვის,—უპასუხა, რომ სინკლერის საზოგადოება არის ამერიკელი საზოგადოება და რაიმე დაბრკოლებების შემთხვევაში იაპონიის ხელისუფლების მხრით, რომელმაც უკანონოდ დაიკავა კუნძული სახალინი, საზოგადოება მიმართავს ამერიკის მთავრობას, რომელიც შესძლებს ამერიკელთა ინტერესების დაცვას სახალინში მოკალათებულ იაპონიის სამხედრო ხელისუფლების თავდასხმისაგან.

იაპონიის ბურჟუაზიული პრესა შეუწყვეტელ კამპანიას აწარმოებს ადმირალ კატოს წინააღმდეგ- მთავრობას აბრალებენ, რომ მან სახალინზე ამერიკელებისათვის კონცესიების გადაცემის გზით დაუშვა რუსეთის დაახლოვება ამერიკასთან, რომელიც იძულებული იქნება იცნოს ს. ს. რ. კავშირი და ბოლოს და ბოლოს დაზიანებული იქნება მხოლოთ იაპონიისა და მისი ბურჟუაზიის ინტერესები. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის **უჩიდას** განცხადების მიუხედავათ, რომ იაპონია არ დაუშვებს სინკლერის საზოგადოებას სახალინის საექსპლოატაციოთ, იაპონიის ბურჟუაზია არ მშვიდდება.

გადაწყვეტილი იყო მიემართოს ს. ს. რ. კავშირის ტოკიოში მყოფ წარმომადგენელ **იოფესათვის** თხოვნით მიეღო მას იაპონელ კაპიტალისტების დელეგაცია სახალინის კონცესიებზე მოსალაპარაკებლათ. იაპონიის ბურჟუაზიას განზრახული აქვს გამოიმუშაოს რუსეთ-იაპონიის საზოგადოების პროექტი და ამ საზოგადოების აქციების ნახევარი რუსეთს უფასოთ დაუთმოს. ამის მაგიერ იაპონია მოითხოვს უკონტროლო მოქმედების უფლებას, რაზედაც ს. ს. რ. კ. არასოდეს არ დათანხმდება. ეჭვს გარეშეა, რომ სახალინის საკითხმა ხელახლა წამოაყენა იაპონელ საზოგადოების წინ თვით იაპონია-რუსეთის დამოკიდებულებების საკითხი. ამასთანავე აღსანიშნავია პრესისა და საზოგადოების ახალი კილო, რომლითაც ისინი ლაპარაკობენ რუსეთთან: ისინი სცნობენ რუსეთის მხრით მოლაპარაკების უფლებას სრულ თანასწორობის საფუძველზე.

იაპონიის ბურჟუაზია არ კარგავს იმედს, რომ ის შესძლებს მიიღოს საბჭოთა მთავრობისაგან საკონცესიო უფლებები სახალინზე. მან გადასწყვიტა დააყენოს პარლამენტში კატოს კაბინეტის წინ საკითხები სახალინის ევაკუაციისა და ს. ს. რ. კ. ცნობის შესახებ, რის მაგიერ მას სურს მიიღოს ზოგიერთი შეღავათები სახალინისა და კამჩატკის ექსპლოატაციაში. ეს, იაპონიის ბურჟუაზიისთვის, საბედისწერო საკითხები საბოლოოდ გადაწყდება მაისში იაპონიის პარლამენტის ახალ სესიაში, რომელშიაც გადაწყდება აგრეთვე კატოს კაბინეტის ბედიც, რომლის ორგანიზაცია დაევალება იაპონელ ბურჟუაზიის წარმომადგენელს ბარონ გოტოს. უკანასკნელი არის რუსეთ-იაპონიის დაახლოვების ერთ-ერთი უპირველესი მომხრე.

„ნაკანუნე“.

პრესა

უპარტიო მუშები კომპარტიის ყრილობაზე.

ჩვენი პარტიის სიძლიერის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის მჭიდრო კავშირი, რომელიც დამყარდა და სულ უფრო და უფრო მტკიცდება კომპარტიისა და უპარტიო მუშებს შორის. საგულისხმიერო ნიმუში ამ კავშირის დემონსტრაციისა ჩვენ მივიღეთ უკრაინის კომპარტიის ყრილობაზე, რაც უკვე აღნიშნული გვქონდა გაზეთში. კიდევ უფრო ძლიერ სურათს ამ კავშირისა და სოლიდარობისას იძლევა რუსეთის კომპარტიის მიმდინარე ყრილობაზე რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებიდან მისული უპარტიოთა დელეგაციების გამოსვლა.

მოსკოვის „პრავდა“ (19 აპრილი) ეხება თავის მოწინავეში ამ მნიშვნელოვან ფაქტს და სწერს:

„უპარტიოთა ეს გამოსვლები ყრილობაზე ჯამს უკეთებს იმ ძირითად გარდატეხას, რომელიც მოხდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მშრომელთა ფართო მასების სულის კვეთებაში და რაც მაჩვენებელია ახალი ხანის დაწყებისა საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაში. ორი-სამი წლის წინათ, საშინელი გაჭირვებისა და შიმშილის დროს, გამწვავებული სამოქალაქო ომის პირობებში, როდესაც შეუძლებელი იყო ჯერ კიდევ გამორკვევა იმისი, თუ ვინ დაიმარჯვებდა, ამ დროს უპარტიო მუშებსა და გლეხებს რყევა ემჩნეოდათ. ზოგიერთ მათ ფენებში არ სწამდათ კიდევ, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით პოლიტიკურ ბრძოლაში და, მით უმეტეს, რომ ჩვენ სამეურნეო ფრონტზედაც წარმატებით ვიმუშავებდით. დღეს კი ასეთი რწმენა უკვე მოიპოვება მათ და ას მილიონიანი მასა მუშებისა და გლეხების, კომპარტიის მეთაურობით, ხდება ძლიერ შრომის არმიათ ერთი მიზნით, ერთი იმედით და მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ დასძლიონ ყველა მტრები“.

გაზეთი მიაქცევს ყურადღებას იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს უპარტიო მშრომელთა ასეთ დამოკიდებულებას კომპარტიისთან დღეს, საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, როდესაც თვალსაჩინოა სურვილი და ცდა მეზობელ იმპერიალისტებისა და მათი დამხმარე დიდი სახელმწიფოების მიაღწიონ როგორმე დამორჩილება საბჭოთა ფედერაციის, მოსპობა მისი დამოუკიდებლობისა და კოლონიად ქცევა.

„ეს მტრული განწყობილება ჩვენ საზღვარს გადაღმა მყოფ მტრების წარმოადგენს საფრთხეს ჩვენი რესპუბლიკის არსებობისათვის მით უფრო აქვს მნიშვნელობა ძლიერ ერთიან ფრონტს კომუნისტური პარტიისას საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებთან, ფრონტს, რომელიც არის წყარო ჩვენი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების და თავდები ჩვენი გამარჯვების ყველა მტრებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავს დაგვესხმიან“.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს ამიტომ ამ კავშირის კიდევ უფრო გაფართოება, გაღრმავება და ამ მიმართულებით დაუღალავი მუშაობა და კიდევ მუშაობა.

პირველი მაისისათვის

საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაული

ამხანაგებო!

84 წლის წინეთ პარიზში საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ასი წლის თავზე, ბასტილიის აღების წელს მოწვეულ იქმნა მეორე ინტერნაციონალის პირველი კონგრესი.

ამ კონგრესზე დაადგინეს პირველი მაისი გამოცხადდეს საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულათ.

ამ დღეს, წლიდან წლამდი ხდება შრომის არმიის დათვალიერება და, როგორც პროლეტარიატის საერთო ნების გამოხატულება მსოფლიო პროლეტარიატისათვის წამოყენებულია ერთნაირი მოთხოვნილებები.

ეს პროლეტარული დღესასწაული, რომელიც გაბატონებულ კლასების ნების გარეშე აჩერებს მხარის მთელ ცხოვრებას, მრისხანე ძალა რომელიც ძლიერდება, აწყობს თავის რიგებს, ახდენს მათ აღრიცხვას და დათვალიერებას, საშიშროებას წარმოადგენდა ძველი სამყაროსათვის, შიშით, ღრტვინვით და კანკალით ატარებდა ბურჟუაზია ამ დღეს და მისგან თავისი ბატონობის ბოლოს მოელოდა.

ბურჟუაზია ევროპაში სასტიკად ებრძოდა ამ დღესასწაულს, მასიური დათხოვის და ლოკაუტების საშვალებით ის იძულებული ხდიდა მუშებს უარი ეთქვათ პირველი მაისის დღესასწაულზე, გადაეტანათ ის პირველ კვირაზე და ამ რიგად პირველი მაისის დღესასწაული გადაექციათ გაზაფხულის ობივატელურ დღესასწაულათ. მაგრამ რუსეთში და ყოფილი რუსეთის განაპირა რაიონებში პირველი მაისის დღესასწაული ყოველთვის თვითმპყრობელობასთან რევოლიუციონური შეტაკების ხასიათს იღებდა. პირველ მაისამდი დიდი ხნით ადრე იწყებოდა მზადება ამ დღისათვის და მუშათა მოძრაობის ზრდასთან ერთად პირველი მაისის მანიფესტაციები უფრო და უფრო გრანდიოზულ მასიურ ხასიათს იღებდა და ხშირათ პოლიციასთან შეიარაღებულ შეტაკებაში გადადიოდა. რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში მტკიცედ არის დაკავშირებული პირველი მაისის ჩატარებასთან, მიუხედავათ იმისა, რომ ამ დღის შემდეგ ორგანიზაციები განადგურებული იყო და ხშირათ საჭირო ხდებოდა მათი ხელახლა აღდგენა, მაინც მათი შეუწყვეტელი ზრდა და მებრძოლთა რიგების გაძლიერება ამტკიცებდა, რომ ფართე მასიური პოლიტიკური გამოსვლების გზა—სწორია.

მუშათა მასა ებმებოდა ბრძოლაში, ეჩვეოდა შეკავშირებულ მოქმედებას, უფრო რევოლიუციონერდებოდა და გრძნობდა თავის ძალას, როგორც კლასის.

ეს პირველი მაისის დემონსტრაციები წარმოადგენდენ მზადებას 1905 წლის რევოლიუციის საყოველთაო გაფიცვისათვის. რუსეთის პროლეტარიატს არავითარი ილიუზიები არ ქონდა ბრძოლის ლეგალური, საპარლამენტო და დემოკრატიული ფორმების შესახებ.

ის იზრდებოდა წლიდან-წლამდი, ძლიერდებოდა, ხდებოდა უფრო მრავალრიცხოვანი, გაბედული და ღია ბრძოლაში იძენდა იმ ძალას, იმ ენტუზიაზმს და ნებას გამარჯვებისაკენ, რომლებმაც ის მიიყვანეს ოქტომბრამდი.

ახლა საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატი ახალი ცხოვრების შემოქმედი და პატრონი არის. ახლა ის უკარნახებს თავის სურვილებს იმ ბურჟუაზიას, რომელსაც მონობაში და ჩაგვრაში ყავდა ის. ახლა ბურჟუაზია არსებობს იმ მუშების ნების თანახმად, რომელიც სულ მოკლე ხნის წინათ იდგა საზოგადოებრივი კიბის უკანასკნელ საფეხურზე, რომელზეც ამაყათ და გაბედულად ადიოდენ გაბატონებული კლასები სიმდიდრისა და ბატონობისაკენ.

სულ რამდენიმე წელი გვაშორებს ჩვენ ამ დროიდან და როგორ დიდია ჩვენი მოპოებანი, როგორ თვალსაჩინოა განსხვავება.

ახლა, პროლეტარულ დღესასწაულს ჩვენ შეგვიძლია მივცეთ ზეიმისა და გამარჯვების სასიხარულო ხასიათი. არმია, რომელიც წინეთ მუშათა კლასის მტერი იყო, ახლა მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ემზადება ამ დღესასწაულის შესახვედრათ. მან დაიმსახურა ეს დასვენება, მისი ხელით არის მოპოვებული და განმტკიცებული ეს გამარჯვება.

მაგრამ ჩვენი დღესასწაული არ არის სრული. ევროპის პროლეტარიატზე თავს იყრის რეაქციონური ღრუბლები. ბურჟუაზია, რომელსაც არ ძალუძს მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება ამაოთ ეძებს საშვალებებს მოახლოებული კრახის თავიდან ასაცილებლად და პოულობს მას მუშათა კლასის სასტიკ ექსპლოატაციაში, ფაშიზმში, მუშების დახვრეტაში, ოკუპაციაში და ახალი ომისათვის მზადებაში. ევროპის პროლეტარიატი სდგას სრული დამონების, გალატაკების და ფიზიკური მოსპობის საფრთხის წინაშე.

გააფთრებული და გათავხედებული ბურჟუაზია მზად არის მოსპოს მუშათა კლასი, სისხლში ჩაახრჩოს ის და გამოიწვიოს ძმათა შორის სისხლის მღვრელი ომი.

მაგრამ გაფიცვების და შეიარაღებული შეტაკებების რიცხვის ზრდა, მთლიანი ფრონტის შექმნისკენ ლტოლვა, პროფინტერნის და კომინტერნის ძალების ზრდა, ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ ევროპის პროლეტარიატი ხედავს ამ საფრთხეს და ემზადება წინააღმდეგობისათვის.

ევროპის პროლეტარიატი თავისი ოქტომბრის მოლოდინშია და ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკები ჩვენი სახელოვანი წითელი არმია მზად არიან დაეხმარონ მათ საერთო მტრის დამარცხებაში. რადგან ჩვენი გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე და ჩვენ შევძლებთ სოციალისტური შენობის აგების დაწყებას მხოლოდ მაშინ, როდესაც დაემხობა მთელი ქვეყნის ბურჟუაზია.

ევროპის პროლეტარიატი პირველ მაისს იდღესასწაულებს იმ სერიოზულობით, რომელიც შეეფერება მომენტს. მაგრამ პროლეტარიატმა არ იცის სასოწარკვეთილება, რადგან მომავალი მას ეკუთვნის, ამიტომ ის ამ დღის უფრო შეამტკიცებს თავის რიგებს და მთელ მსოფლიოში გაისმება ძლიერი დაძახილი:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაუმარჯოს პირველ მაისს—მსოფლიო პროლეტარული გაერთიანების დღეს!

გაუმარჯოს შრომის არმიის დათვალიერების დიდ დღეს!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მუშების მსოფლიო სოლიდარობას!

ძირს მუშათა კლასის ყველა მტრები!

ძირს ფაშიზმი, რომელიც ძალით ცდილობს რევოლიუციონური მუშათა მოძრაობის გასრესას!

ძირს გველები, რომლებიც ხვრეტენ რურის მუშებს!

ძირს ოკუპანტები!

ძირს შემთანხმებლები!

ძირს ომი, რომ ბურჟუაზია აპირებს მუშათა კლასის სისხლში ჩაღრჩობას და მის გათიშვას!

გაუმარჯოს მუშების მთლიან ფრონტს!

გაუმარჯოს მომავალ სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს ს. ს. რესპუბლიკების დიდ კავშირს!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის შტაბს!

გაუმარჯოს წითელ პროფინტერნს, რომელიც აკავშირებს მსოფლიო პროლეტარიატის რიგებს ბურჟუაზიაზე უკანასკნელი თავდასხმისათვის!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მუშები ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ მიჰყავს!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატს. ახალი ცხოვრების შემოქმედს და ბატონს!

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატს, რომელმაც თავისი რიგები შეუერთა მებრძოლი პროლეტარიატის რიგებს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს წითელ, კომუნიზმის ბრძოლისა და გამარჯვების დღესასწაულს!

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

პირველი მაისის ლოზუნგები

1. გაუმარჯოს პირველ მაისს—პროლეტარული არმიის დათვალიერების დღეს.

2. პირველი მაისი—პროლეტარული რევოლიუციის ბრძოლის და გამარჯვების დღეა.

3. სალამი ბურჟუაზიის ციხეებში და ბნელ სარდაფებში გამომწყვდეულ მუშათა კლასის მებრძოლებს.

4. კაცობრიობა ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის წინაშე დგას. მუშათა კლასო, ფრთხილათ იყავი.

5. ახლო აღმოსავლეთის და სხვა კოლონიების მშრომელები აწარმოებენ ბრძოლას მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენი ძმური სალამი დაჩაგრულებს.

6. საფრანგეთისა და გერმანიის კომუნისტური პარტიები ერთად იბრძვიან ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ პროლეტარული დიქტატურისათვის.

ჩვენი ძმური სალამი მათ.

7. სალამი მცელა ქვეყნების რევოლიუციონურ მუშებს, რომლებიც პირველ მაისს ხმას იმაღლებენ საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ.

8. სტინესები და ლუშერები მოლაპარაკებას აწარმოებენ რურის პროლეტარიატის წინააღმდეგ შეთანხმებული ბრძოლის შესახებ. გერმანიაში და საფრანგეთში მუშათა ორგანიზაციების დევნა ძლიერდება. რევოლიუციონური მოქმედების მთლიანი ფრონტი—აი საერთაშორისო პროლეტარიატის ლოზუნგი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

9. გავამტკიცოთ მუშებისა და გლეხობის კავშირი, ეს საფუძველი საბჭოთა ქვეყნის ძლიერებისა.

10. სიკვდილი მუშათა კლასის ბელადების მკვლელებს, სიკვდილი ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის, ურიცკის და ვოლოდარსკის, შაუმიანის და ჯაფარიძის, აზიზბეკოვის და ფიოლეტოვის ჯალათებს.

11. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი—კომუნისტური საზოგადოების ფუნდამენტია. საერთო ძალ-ღონით გავამაგროთ ის.

12. პროლეტარული რევოლიუციის შტაბს, კომინტერნს და მის პირმშო შვილს, ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს ჩვენი სალამი.

13. ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა რევოლიუციის ჩირაღდანი და აღმოსავლეთის მშრომელი მასების ბრძოლისკენ მოწოდებაა.

14. ამიერ-კავკასიის მუშურ-გლეხურმა მასებმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს.

15. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მსოფლიო კავშირს.

16. სიბნელე და უვიცობა—მუშათა კლასის მტერია. საერთო ძალღონით დავამარცხოთ მტერი კულტურულ ფრონტზე ისე, როგორც სამხედროზე.

17. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი გააძლიერებს ჩვენს ძალებს და მებრძოლ პროლეტარიატს საბოლოო გამარჯვების იმედს მისცემს.

18. მშრომელი ქალები ნელა, მაგრამ მტკიცეთ გამოდიან პროლეტარიატის გვერდით კლასობრივი ბრძოლის გზაზე.

თქვენ, მშრომელო ქალებო, ძმური სალამი შრომის დღესასწაულის დღეს.

19. ფაშიზმს—საერთაშორისო შავრაზმელობას, მაუზერიზმს და ბანდიტიზმს მსოფლიო პროლეტარიატი სასტიკ და გადამწყვეტ ბრძოლას უცხადებს.

20. ბურჟუაზიული საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერენ შემთანხმებლები მეორე ინტერნაციონალიდან, ხვრეტს რურის მუშებს. ძირს ყვითელი ბელადები. გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას...

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ფინეთს სურს იცხოვროს მშვიდობიანათ საბჭოთა რუსეთთან

ჰელსინგფორსი. 24 აპრილი. ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ვენნოლამ ფინეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში აღიარა, რომ ფინეთის საგარეო პოლიტიკის მერყეობა აიხსნება საერთაშორისო მდგომარეობის გაურკვევლობით. ვენნოლამ განაცხადა, რომ ფინეთმა, იურიევის საზავო ხელშეკრულების დადებით უარი სთქვა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე და სურს იცხოვროს მასთან მშვიდობიანათ. კარელის საკითხის შესახებ, ვენნოლამ განაცხადა, რომ საკითხს ფინეთი აყენებს როგორც საერთაშორისო საკითხს.

შორეულ აღმოსავლეთში

იაპონია მიდის დათმობაზე.

ვლადივოსტოკი. 24 აპრ. იაპონიის ელჩმა მიმართა საბჭოთა მთავრობას წერილობით, რომ იაპონიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა განკარგულება დაუბრკოლებლივ გაატარონ იაპონიის სანაპიროებზე საბჭოთა გემების მეზღვაურები. ამავე განცხადებაში ელჩი ითხოვს რათა თავისუფალი გასავალი მიეცეს იაპონელებს ვლადივოსტოკში.

დამოკიდებულება უცხოეთის სახელმწიფოებთან

რუსეთ სპარსეთის საფოსტო კონფერენცია.

მოსკოვი. 24 აპრილი. 24 აპრილს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ხელი მოაწერა საფოსტო კონვენციას სპარსეთთან.

რუსეთ-დანიის ხელშეკრულების მნიშვნელობა.

მოსკოვი. 24 აპრილი. დანიასთან ხელშეკრულების დადების გამო გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ, ამხ. ლიტვინოვმა „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს სთქვა: „ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, ვინაიდან ეს მოხდა იმ დროს, როდესაც რუსეთი განიცდის სასტიკ თავდასხმას და როდესაც რუსეთის ყოფილი კრედიტორები, რომელნიც ხელმძღვანელობენ ამ კომპანიას სცდილობენ ახალ ინტერვენციის და რუსეთის ბლოკადის ორგანიზაციას.

ამ მომენტში ხელშეკრულების დადება მაჩვენებელია იმისა, რომ სახელმწიფოებრივი მოღვაწეებს და სამოღვაწეო წრეებს სჯერათ ამ კამპანიის სერიოზულობა.

დადებულ ხელშეკრულებას აქვს რა თქმა უნდა დიდი კომერციული მნიშვნელობა რუსეთისა და დანიისათვის. უკვე ახლო მომავალში მოსალოდნელია ახალი მნიშვნელოვან ხელშეკრულებათა დადება, რომელთა დადებას ხელს უშლიდა დანიასთან ოფიციალურ ურთიერთობის უქონლობა. გეოგრაფიულ მდებარეობის და აგრეთვე კარგად მოწყობილ ნავთსადგურის წყალობით, კოპენჰაგენს შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი დასავლეთთან და კერძოთ სკანდინავიასთან ჩვენი ურთიერთობის საქმეში.

დასკვნაში ამხ. ლიტვინოვმა გამოსთქვა რწმენა, რომ ჩქარა დანიას მაგალითს წაბაძავენ ჰოლანდია და შვეიცარია, რომელნიც დღემდის გაურბოდენ რუსეთთან ოფიციალურ ურთიერთობის დაჭერას, და აგრეთვე შვეცია, რომლის დამოკიდებულება რუსეთთან გამოურკვეველია. შვეციას არა ჰყავს რუსეთში წარმომადგენლობა და ჩვენი სავაჭრო დელეგაციის მდგომარეობას სტოკჰოლმში არ აქვს ფორმალური ხასიათი.

შეთანხმება სავაჭრო გემების შესახებ.

მოსკოვი. 24 აპრილი, 23 აპრილს ამხ. ლიტვინოვმა ხელი მოაწერა შეთანხმებას გერმანიასთან სავაჭრო გემების შესახებ, რომელნიც მათ ჩაუვარდათ ხელში იმპერიალისტურ ომის დროს. შეთანხმება გულისხმობს იმ გემების გაცვლის პრინციპს, რომელნიც დარჩენ ნავთსადგურებში, საომარ მოქმედებათ დაწყების დროს გემები, რომელნიც დაკავებულ იქნენ ზღვაში სამხედრო მოქმედებათა დროს რჩება იმ ქვეყანას, რომელმაც ეს გემები დააკავა. რაიმე უთანხმოებათა შემთხვევაში მხარეებს შორის შუამავლათ არჩეულია ნანსენი.

რუსეთი და ოსმალეთი

რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა.

ანგორა. 23 აპრილი. ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრების არსებობის 3 წლის თავზე. მუსტაფა-ქემალმა მიიღო უცხოეთის წარმომადგენლები. **რ. ს. ფ. ს. რ. რწმუნებულმა ოსმალეთში მიულოცა ქემალფაშას ეს დღე და გამოსთქვა რწმენა, რომ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა ურყევი დარჩება.**

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი

კომუნისტების პროცესი.

პარიზი. 24 აპრილი. პარიზის სასამართლომ დაასრულა გამოძიება საფრანგეთის კომუნისტების საქმის შესახებ. საქმე გადაეცა რესპუბლიკის პროკურორს, რომელმაც უარი განაცხადა ბრალდებულთა განთავისუფლებაზე.

საფრანგეთ-ბელგიის ეკონომიური ხელშეკრულება.

პარიზი. 24 აპრილი. საფრანგეთსა და ბელგიის შორის განზრახულ ეკონომიურ ხელშეკრულების პროექტი უკვე საბოლოოდ იქნა შემუშავებული. გაზ. „ატერნალ-ინდუსტრიელ"-ის ცნობით ეს არის ყველაზე დიდი ხელშეკრულება რომელიც საფრანგეთმა დასდო ომის შემდეგ.

ამერიკა.

გარდინგის გამოსვლა.

ნიუ-იორკი. 24 აპრილი. გაერთიანებულ პრესის წარმომადგენელთა კრებაზე ნიუ-იორკში გამოვიდა გარდინგი. რომელიც ამტკიცებდა შეერთებულ შტატების ერთა ლიგის საერთაშორისო ტრიბუნალში შესვლის აუცილებლობას, რაც სრულიადაც არ მოასწავებს შეერთებულ შტატების ერთა-ლიგის შემადგენლობაში შესვლას. ჩვენ მხურვალეთ მივესალმებოდით ევროპის აღდგენას, სთქვა გარდინგმა, თუ ის უფრო ნაკლებს დახარჯავდა კონფლიქტებზე ვიდრე წარმოებაზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კომისარი და კომანდირი წითელ არმიაში.

მოსკოვი. 23 აპრილი. წითელი ჯარისადმი ბრძანებაში ამხ. ტროცკი აღნიშნავს, რომ წითელი არმიის კომშემადგენლობის და ადმინისტრატიულ აპარატის განსაზღვრა გამოწვეული იყო იმით, რომ რევოლიუციონერები არ იცნობდენ სამხედრო საქმეს, სამხედრო პირებმა კი არ იცოდნენ და ან სურდათ გაეგოთ რევოლიუცია, მაგრამ საორგანიზაციო ორმაგობა არ არის სამუდამოთ დაწესებული. კომანდირი და კომისარი დროთა განმავლობაში უნდა შეთავსდენ ერთ პიროვნებაში. საჭიროა, რომ ეხლანდელმა სამხედრო კომისრებმა შეისწავლონ სამხედრო საქმე. შეიქნენ კომანდირები და ამასთან შეასრულონ კომისრის მოვალეობა, მაგრამ ამ მიზნის მიმართულებით უნდა წავიდეთ მეტათ ფრთხილათ, ურყევათ და გაბედულათ. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა ცენტრალურ საადმინისტრაციო სამხედრო სამმართველოებისა და დაწესებულებებისადმი. ზოგ ადგილებში სარევოლიუციო სამხედრო საბჭოს სათანადო ბრძანება გაიგეს იმ აზრით, რომ თითქოს ახლო მომავალში სავსებით გაუქმდება კომისრების კორპუსი. თუ ბრძანება ასე გაიგეს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის არ იყო სათანადო ფორმებში ჩამოყალიბებული. ამ ჟამათ სარევოლიუციო სამხედრო საბჭომ მისცა საჯარო განმარტებანი. იქ, სადაც არ მომხდარა ჯერ კომანდირის და კომისრის მოვალეობის შეთავსება, მათი პირდაპირი დამოკიდებულება რჩება წინანდებურათ.

სრულიად რუსეთის სასოფლო-მეურნეობის კავშირის სესია.

მოსკოვი. 23 აპრილის მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის სასოფლო მეურნეობის საბჭოს სესია. **კრებაზე აღინიშნა, რომ სასოფლო მეურნეობის კავშირში შედის 26000 კოოპერატივი, რომლებიც აკავშირებენ 2 ნახ. მილ. გლეხის ოჯახს**

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მუშები არ მიდიან დათმობაზე.

რიგა. 23 აპრილი. რიგის დამტვირთავ მუშათა გაფიცვა გრძელდება. გაფიცულები უარს ამბობენ ყოველგვარ დათმობაზე. 40 გემიდან, რომელიც ნავთსადგურში იდგა, გავიდა მხოლოდ 3. გაფიცვას საერთო ხასიათი აქვს.

მთლიან პროლეტარულ ფრონტისათვის.

ვენა. 21 აპრილი. ვენაში 18 აპრილს გაიმართა კომუნისტურ პარტიის მიერ მოწყობილი მასიური დემონსტრაცია ფაშიზმისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ. ამასთანავე ავსტრიის 12 პროვინციულ ქალაქში გამართული იყო ასეთივე მიტინგები, ყველა მიტინგებზე ორატორები მოითხოვდენ მუშათა რაზმების ორგანიზაციას, მთლიან პროლეტარულ ფრონტის შექმნას, შრომის ხელფასის დაწევას და ქარხკომების ყრილობის მოწვევას.

შვეციის კომპარტიის მანიფესტი.

სტოკჰოლმი 23 აპრილი. შვეციის კომუნისტურმა პარტიამ მანიფესტით მიმართა მუშებს, რომელშიაც მოუწოდებს მათ, გატარებულ იქნენ პირველ მაისის დემონსტრაციები მთლიან ფრონტის ლოზუნგის ქვეშ. მანიფესტი აღნიშნავს, რომ მთლიან ფრონტს შვეციაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა საერთაშორისო კაპიტალის შემოტევის გამო, რაც შვეციაში გამოიხატა ბურჟუაზიულ ბლოკის მიერ სოციალდემოკრატიულ მთავრობის ჩამოგდებაში, მანიფესტი მოუწოდებს მუშებს აგრეთვე შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლისაკენ.

„პოლიტიკენ" ი ლენინის შესახებ.

სტოკჰოლმი. 23 აპრილი. შვეციელი გაზეთი „პოლიტიკენ"-ი უძღვნის ამხ. ლენინს მისი დაბადების დღის გამო მთელ პირველ გვერდს, გაზეთს მოჰყავს მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლის ბიოგრაფია და აღნიშნავს ამხ. ლენინის მსოფლიო მნიშვნელობას.

წითელი არმიისათვის

ყველა მშრომელ ქალებს!

ძვირფასო დებო—მუშა და გლეხი ქალებო!

საბჭოთა ხელისუფლება ერთად ერთი ნამდვილი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაა მთელ დედამიწაზე, რომელიც აწარმოებს რა მძიმე უთანასწორო ბრძოლას ყველა მტრების წინააღმდეგ, ამავე დროს მხნეთ აშენებს თავის ახალ სამეფოს.

წითელი არმია კი არის ამ ხელისუფლების მტკიცე ყავარჯენი, მისი ძალა, რომელიც მედგრად და შეუპოვრად ებრძვის ყველა იმ მსოფლიო მძარცველებს, რომელნიც სცდილობენ სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ საბჭოთა ხელისუფლებას.

წითელი ლაშქარი ფხიზლათ იცავს მუშათა და გლეხთა სისხლით რევოლიუციის მონაპოვართ.

რუსეთის წითელი ლაშქარის გმირული და თავგანწირული ბრძოლების შესახებ იცის მთელმა ქვეყანამ.

ეშინიათ წითელი ლაშქრის მხოლოდ კაპიტალისტებს, თავადებს, ხანებს და კაპიტალისტურ საზოგადოების ყველა მძარცველებს.

პირიქით, ძლიერ უყვარს იგი ყველა ქვეყნის პროლეტარიატს და თვალს ადევნებენ მის სახელოვან ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშრომელნი.

როდესაც მტერთან ბრძოლის დროს წითელი ლაშქარი საშიშ წუთებში ვარდებოდა, მის რიგებში ეწერებოდენ და მას ამაგრებდენ მუშათა და გლეხთა საუკეთესო ნაწილები, კომუნისტური პარტიის გამობრძმედილ მეომართა საუკეთესო ძალები, რევოლიუციონური სულით ანთებული მუშა და გლეხი ქალები, თავის რევოლიუციონური აღტყინებით და ერგიით მათ გაამაგრეს წითელი არმია და შეადუღეს მისი რიგები მძლავრ ფოლადისებურ ძალათ, რომელმაც დაამარცხა, ამარცხებს და მუდამ დაამარცხებს მშრომელთა მტრებს.

სულ ორი წელიწადია რაც საქართველო ქმნის თავის რევოლიუციონურ წითელ ლაშქარს. ის ჯერ არც კი შემდგარა იმ ბრძოლის გზაზედ, რომელიც გაიარა სახელოვანმა რუსეთის წითელმა ლაშქარმა და მით შეავსო პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის ისტორიის საუკეთესო სტრიქონები. მაგრამ წითელი ლაშქარი საქართველოსი ყოველ წლივ გაიზრდება და გამაგრდება საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკების — აზერბეიჯანის, სომხეთის, რუსეთის და სხვ. მშრომელებთან ერთად ძმურ კავშირში.

მშრომელთა ცოლებო, დებო და დედებო თქვენ უნდა შეიგნოთ თუ სად და რისთვის მიდიან თქვენი ქმრები, ძმები და შვილები. უნდა ახსოვდეთ ქართველ ქალებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც გაანთავისუფლა მშრომელი ხალხი, იხსნა ისინი წარსული მონური ცხოვრების მძიმე ტანჯვებიდან.

გაიხსენეთ მუშა და გლეხო ქალებო, რომ მეფეს მიყავდა თქვენი შვილები და უსევდა მათ მუშებსა და გლეხებს, როდესაც ესენი გაბედავდენ და თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ მოიწადინებდნენ ხმის ამოღებას.

მენშევიკებს მიყავდათ თქვენი ძმები, შვილები და ქმრები აზერბეიჯანისა და სომხეთის მშრომელთა წინააღმდეგ.

სისხლის მღვრელი საერთაშორისო ომი სწარმოებდა ამიერ-კავკასიაში მენშევიკებისა, დაშნაკელებისა და მუსავატელების დროს.

საბჭოთა ხელისუფლება იკრებს თავის ძალებს, რათა დაიცვას და გაამაგროს ყველა ჩვენი მონაპოვარნი. ქმნის მებრძოლთა რიგებს მსომსოფლიო მძარცველების წინააღმდეგ იმ შემთხვევისათვის, თუ უკანასკნელნი გაბედავენ საქართველოსა და მთელი ფედერაციის მშრომელთა წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

საქართველოს მშრომელმა ქალმა უნდა შეიგნოს ყველა ეს და რუსეთის, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელ ქალებთან ერთად უთხრას თავის ახლობლებს— **ჩაეწერეთ წითელ ლაშქარში, გახსოვდეთ ჩვენი მონაპოვარი და დაიცავით ისინი, ჩვენ კი თქვენი დედები, დები და ცოლები მუდამ თქვენთან ვიქნებით.**

მაშ გაუმარჯოს მშრომელ საქართველოს წითელ ლაშქარს.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძმურ კავშირს და მსოფლიოს წითელ ლაშქარს, რომელიც იპყრობს კომუნისტური სამეფოს ახალ უკეთეს ცხოვრებას.

გაუმარჯოს წითელ არმიელის მშრომელ დედას, ცოლს და დას, რომელნიც წითელ ლაშქართან ერთად ანთებულნი არიან ბრძოლის ალით მშრომელთა ყველა მტრების წინააღმდეგ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მომუშავე განყოფილება.

უცხოეთის ცხოვრება

როზა ლიუქსემბურგის მკვლელი.

როგორც ვიცით, როზა ლიუქსემბურგის მკვლელს—გერმანელ ლეიტენანტ პილოტს კურტ ფოგელს, გერმანიის სასამართლომ მიუსაჯა ორი წლის ციხე, ხოლო სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტანციების დახმარებით მან 1919 წელს მოახერხა ჰოლანდიაში გაქცევა, კურტ ფილზენის სახელწოდებით.

ის აქ დაკავებული იქნა. რამოდენიმე თვის წინად სოციალ დემოკრატმა გუგენგოლტცმა ჰოლანდიის პარლამენტში შეიტანა შეკითხვა, მართალია ის, რომ როზას მკვლელი ინგენის სახელით გერმანიის ყოფილ მაიორთან ერთად ახდენს ფრენას ჰოლანდიის მთავრობის დავალებით ნაპირების სურათზე გადასაღებად? მინისტრმა მხოლოდ ეხლა ინება პასუხის გაცემა ინტერპელიაციაზე. ის იძულებული იყო დაედასტურებია ამ ფაქტების სისწორე.

ჰოლანდიის სოციალისტური გაზეთი „Het Volk"-ი აღშფოთებით მოითხოვს მთავრობისაგან, რათა მან დაუყოვნებლივ კვლავ დააკავოს მკვლელი. თვით ბერლინის „ფორვერსტი"-ც აღშფოთებულია ეხლა მით, რომ გერმანიის მთავრობა არ სდგამს ნაბიჯებს იმისათვის, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გასამართლებულმა და დღემდის სადღაც მიმალულმა მკვლელმა მოიხადოს თავისი სასჯელი". როდესაც ამ მთავრობაში ისხდენ „ფორვერტს"-ის თანამოაზრენი, ის სდუმდა. ის ეხლაც ვერ ბედავს აშკარად მოითხოვოს მკვლელის გაცემა და აგრეთვე სავსებით საკმაოდ მიაჩნია როზა ლიუქსემბურგის მკვლელობისათვის ორი წლის ციხე.

ნავთის მსოფლიო ამოღება.

„stastis"-ის ცნობით ნავთის ამოღება 1922 წელს უდრიდა 843 მილიონ ბარელს (ბარელი—133 ნახ. კილოგრ.) წინააღმდეგ 1921 წლის 765 მილიონისა და 1914 წლის 408 მილიონისა. ამოღების ადგილმდებარეობის მიხედვით (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ეკუთვნის 1921 წელს):

ჩვენ გვაქვს: შეერთებულ შტატებში—547 (472) მილ, მექსიკაში 187 (193) რუსეთში—30 (29), სპარსეთში—19 (17) ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთში—16,5 (16,9) რუმინიაში—8,9 (8,4), ინდოეთში—8,5 (8), პოლონეთში—5,3 (5,2), პერუში—4,3 (3,7) ტრინიდატში—2,6 (2,4), არგენტინაში—1,8 (1,7), ვენეცუელაში—2,1 (1,4), ეგვიპტეში—1,4 (1,3). იაპონიასა და ფორმოზაში—2,5 (2,4) დანარჩენ ქვეყნებში—2,3 (1,2)

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის გაზიდვა ოსმალეთში.

ბაქო. 24 აპრილი. აზერბეიჯანის ნავთის განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო კონსტანტინოპოლში საზოგადოება „ახალი ოსმალეთთან". ამ ხელშეკრულობით აზერბეიჯანის ნავთის განყოფილებამ უნდა მიყიდოს 1000 ტონი ნავთი ოსმალეთს 75 შილინგათ თითო ტონი. ხელშეკრულობის თანახმად საზოგადოება ვალდებულია მიიღოს და გაზიდოს აღნიშნული ნავთის რაოდენობა ორი თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ მოხდა განსაზღვრულ ვადის განმავლობაში, საზოგადოება კარგავს ზეს სახით ნაყიდი ნავთის ღირებულების 10 პროც.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქო. 24 აპრილი. უკანასკნელ ხანებში ემჩნევა, რომ ბაქოს ბაზრობისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მოსკოვის, კიევის და სპარსეთის ბაზრები. რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა თავის წერილში ბაზრობის კომიტეტის სახელზე გამოსთქვამს სურვილს ბაზრობაში ფართო მონაწილეობის მიღების შესახებ და წინადადებას იძლევა გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ბაზრობაზე. ყოველ დღე შემოდის ტელეგრამების სახით თხოვნები კიევის, ხარკოვის და უკრაინის სხვა ქალაქების ტრესტებიდან, რომ მათ დაეთმოთ ადგილი ბაქოს ბაზრობაზე, ამასთან აღნიშნავენ იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იჩენენ ბაქოს ბაზრობისადმი ადგილობრივი ვაჭრობა-მრეწველობის წრეები. სპარსეთიდან ბაქოს ბაზრობის კომიტე-

რადიო-ტელეგრამები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 25).

მოსკოვი. 24 აპრილი. ტემპერატურა 37,4, პულსი—110. სუნთქვა—24. მარცხენა ფილტვის ქვემო ნაწილში თავი იჩინა მცირე კატარრალურმა მოვლენებმა, რაც აიხსნება წინა დღეებში ტემპერატურის აწევით, საერთო მდგომარეობა უცვლელია.

1923 წ. 24 აპრილი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფიორსტერი, კრამერი, ბუმკე.**
ექიმი **ელისტრატოვი.**
პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

რურის ოლქის ოკუპაცია

საფრანგეთმა უარყო გერმანიის წინადადება.

ბერლინი. 26 აპრ. „დეილი მეილის" პარიზელი კორესპონდენტი სარწმუნო საფრანგეთის დიპლომატიურ წყაროებიდან იუწყება, რომ საფრანგეთმა უარყო გერმანიის წინადადება, როგორც არა-საკმარისი მოლაპარაკებების დასაწყებათ. ანალოგიურ აზრს გამოსთქვამს ამის შესახებ „ნიუ-იორკ-ჰერალდ"-ი.

რური მხოლოთ გერმანიისათვის.

ბერლინი. 26 აპრილი. გერმანიის კომპეტენტურ წრეებში საბოლოოთ დამტკიცებულათ სთვლიან საფრანგეთის ნახშირის პოლიტიკის დამარცხებას რურში. იმავე წრეებში ამბობენ, რომ რურის ოლქის, როგორც ნახშირის მოსაპოვებ ადგილის, გამოყენება მხოლოდ გერმანიას შეუძლია.

კერზონის სიტყვის შესახებ.

რომი. 26 აპრილი. ლონდონის კომპეტენტურ წრეებში ამბობენ, რომ კერზონის სიტყვას შეუძლია გამოარკვიოს რურში შექმნილი მდგომარეობა და რომ გერმანია წარუდგენს თავის წინადადებებს საფრანგეთსა და ბელგიას რურის კონფლიქტის სალიკვიდაციოთ.

მდგომარეობა გერმანიაში

კუნოს მცლის გადადგომა.

ბერლინი. 23 აპრილი. გამოქვეყნებულ ნახევრად—ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ კერზონის უკანასკნელ სიტყვას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ გერმანიის მთავრობის წრეებში. კუნომ მიიღო პროფკავშირთა დელეგაცია, რომელმაც განუცხადა მას, რომ გერმანიის მუშათა კლასი მზად არის განაგრძოს პასიური წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, ფიქრობს, რომ დადგა მომენტი, როდესაც შეიძლება ახალი წინადადება წარუდგინონ ანტანტას. სახალხო პარტიის ლიდერმა განაცხადა. კერზონის სიტყვა არის საკმაო ბაზა მომავალ მოლაპარაკებისათვის. შტრეზემანის აზრით გერმანიის ინტერესების სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს არა რეპარაციების ან გადასახადების ჯამის შედგენაში, არამედ იმაში, რათა რური და რეინის ოლქი დარჩენ გერმანიის ფარგლებში. ამასთან ერთად შტრეზემანმა ენერგიულად გაილაშქრა პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის წინააღმდეგ მოლაპარაკების დაწყებამდე.

დღეს რეიხსტაგში რამდენიმე დეპუტატმა, რომელნიც ეკუთვნიან სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს, განაცხადეს, რომ თუ კუნომ ვერ გამოიყენა კერზონის წინადადებანი, მაშინ საჭირო იქნება სხვა კანცლერის გამოძებნა. გერმანიის კაბინეტის გადაწყვეტილება ჯერ-ჯერობით არ არის გამოქვეყნებული.

არაფერი არ შველის.

ბერლინი. 24 აპრ. მარკის კურსის განსამტკიცებლად რეიხსბანკმა დისკონტი 12 დან 18 პროცენტამდი გაადიდა. მრეწველთა წრეები ძლიერ უკმაყოფილო არიან კრედიტის ახალი გაძვირებით. მიუხედავათ რეიხსბანკის მიერ მიღებული ზომებისა, დოლარი 30,000 მარკა ღირს.

ახალი ლოზანა

მოსალოდნელი დაბრკოლებები.

პარიზი. 23 აპრ. დამახასიათებელ მოვლენას ლოზანის ახალ კონფერენციაზე წარმოადგენს ანტაგონიზმი საფრანგეთსა და ოსმალეთის შორის. მოელიან დიდ უთანხმოებას ჩესტერის კონცესიების გამო. ოსმალეთის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ კონცესიების საკითხი არ შედის კონფერენციის კომპეტენციაში საერთო აზრია, რომ მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდება და დიდი დაბრკოლებებია მოსალოდნელი კონფერენციის წრეებში დიდათ არიან დაინტერესებული რუსეთის პოზიციით.

პირველი დიდი დაბრკოლება.

ლონდონი, 23 აპრ. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი ლოზანადან იუწყება, რომ კონფერენციის მონაწილეების მთელი ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ ჩესტერის კონცესიების საკითხი არ დაისვას დღის წესრიგში. მიუხედავათ ამისა, ნათელია, რომ სანამ კონცესიების საკითხთან დაკავშირებულ ყველა დაბრკოლებებს თავიდან არ აიცილებენ, არც ერთი სხვა საკითხი კონფერენციაზე განხილული არ იქნება.

„დეილი ტელეგრაფი" მიუთითებს, რომ ჩესტერის კონცესიები დასაწყისია ამერიკის კაპიტალის ახლო აღმოსავლეთში ფეხის მოკიდების. ამერიკა ცდილობს ეკონომიურად დაიპყროს არა მარტო ოსმალეთი და ბულგარეთი, არამედ სპარსეთიც.

ამერიკა და ლოზანა.

ლონდონი. 23 აპრილი. „დეილი მეილის" ცნობით ამერიკის წარმომადგენელმა ლოზანის კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკა არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს მოკავშირეებსა და ოსმალეთს შორის რაიმე ხელშეკრულების დადებაში, მაგრამ დაიცავს თავის ინტერესებს და ღია კარების პოლიტიკას.

ტის მისამართზე გადაგზავნილია დიდი პარტია საქონელი; ძალიან კარგათ იმოქმედა სპარსეთის ვაჭრების დამოკიდებულებაზე ცნობამ იმის შესახებ, რომ გაგრძელებულია ვადა აზიის ტარიფის შესახებ. აღწერილია და გაგზავნილი საბაზრო კომიტეტის სახელზე 260 ვაგონი სხვა და სხვა საქონელი; მათ შორის უმთავრეს ნაწილს შეადგენს მინა, ბამბა, გამხმარი ხილი, ტყის მასალა, ლურსმანი, შაქარი და სხვა.

საჰაერო ფლოტისათვის

ბაქო 25 აპრილი. ბაქოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების ნავთის საწყობების მუშაკებმა საკუთარი ინიციატივით გაატარეს შაბათობა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

ხომალდის „ალი ბაირამოვის", მოსამსახურეებმა დაადგინეს გადარიცხონ საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ ჯამაგირის 5 პროცენტი სამი თვის განმავლობაში.

თამბაქოს ფაბრიკების „წითელი ოქტომბერი" და „მე 3-ე ინტერნაციონალი"-ს მუშა ქალებმა და თამბაქოს ტრესტის თანამშრომლებმა მოაწყვეს შაბათობა და სთხოვენ თამბაქოს ტრესტს გადარიცხოს საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ დღიური ხელფასის 50 პროცენტი.

ბამბის წარმოება.

ბაქო 25 აპრილი. გლეხები დიდი ყურადღებით ეპყრობიან ბამბის თესვის საქმეს. მუღანზე უკვე დაიდო ხელშეკრულება გლეხებთან 5 300 დესიატინა მიწის დათესვისათვის. ამას გარდა განზრახულია ხელშეკრულების დადება კიდევ 1,600 დესეტინა მიწის დასათესად. დანარჩენ რაიონებში დადებულია ხელშეკრულება დაახლოვებით 6,000 დესიატინაზე. 1 მაისისათვის განზრახულია ხელშეკრულების დადება მთესველებთან ამავე რაოდენობით მიწის დათესვის შესახებ. თბილი დარების დაწყების გამო ბამბის თესვა განვითარდება გაძლიერებული ტემპით.

სომხეთი

კოოპერაცია.

ერევანი. 24 აპრილი. 5 მაისს ერევანში შესდგება სომხეთის კოოპერატივების პირველი თათბირი. ამ დღისათვის გამოვა ჟურნალი „სომხეთის კოოპერაცია".

ალექსანდროპოლი. 24 აპრილი. ალექსანდროპოლის მთლიანმა მუშათა კოოპერატივმა მიმართა სომხეთის კოოპერატივთა კავშირს თხოვნით, რათა გააძლიეროს კოოპერაცია ალექსანდროპოლში, რომლის გარშემო გაერთიანებულია 10,000 მუშა. სომხეთის კოოპერატივთა კავშირმა მიიღო სათანადო ზომები

ხანაინი. 24 აპრილი. ხანაინში ეწყობა საქონლის პუნქტი, რომელიც მიაწვდის მაზრებს სომხეთის კოოპერატივთა კავშირის საქონელს.

ჩარბახი. 24 აპრილი. ჩარბახში სომხეთის კოოპერატივთა კავშირს აქვს 40 დესიატინა მიწა, რომლის მეტი ნაწილი მოხმარდება ბამბის კულტურას. სპეციალისტების განცხადებით, ამ მიწაზე შეიძლება გაშენდეს სოხუმის და სამსუნის საუკეთესო ხარისხის თამბაქო.

დელიჟანი. 24 აპრილი, დელიჟანში მუშათა კოოპერატივი უშვებს იაფ პურს მუშათა კოოპერატივმა მიიღო, დიდი რაოდენობით საქონელი. მიღებულია მანუფაქტურაც.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომ. პარ. ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ყველა პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკებს, ვინც იღებს განაკვეთის ქსელის მე-17-ე ხარისხის ერთნახევარის მეტ ჯამაგირს, გატარდნენ რეგისტრაციაში სამი დღის განმავლობაში ტფ. კომიტეტის საფინანსო განყოფილებაში დღის 9—3 დე.

ვინც არ გამოცხადდება, პასუხის გებაში იქნება მიცემული პარტ დისციპლინის წესით.

ტფ. კომ. მდივნის მაგიერ მ. ივანოვი.

ამა თვის 29-დან ტფილისის საგანგებო დანიშნულების ნაწილების

უფშემადგენლობა იწყებს მეკადინეობას 1-ლ და მე-2 რიგის და სამხედრო მომზადების ყველა ხარისხების მილიციის პარტიულ ამხანაგებთან, ამასთან ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტის მსმენელებთან და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრებთან დილის 7—9 ს.-დე, დანარჩენებს კი 8 ნახ.—12 ს-დე.

შესაკრები პუნქტი 1-ლ რაიკომისთვის ჩერქეზიშვილის და იურევის ქ. კუთხე, მე-2 ე რაიკომისთვის კირკის და მიხაილოვის კუთხე, გერმანულ კირკის მოედანზე, მე 3-ე რაიკომისა და მე-5-ე ქვერაიონისთვის ყოფილ სამხედრო სობოროს ეზო.

ტფ. კომიტ. აცხადებს რა ზემოაღნიშნულს, წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ამხანაგს [illegible] მეკადინეობაზე. ვინც არ გამოცხადდება, იქნება მიცემული პასუხისგებაში პარტდისციპლინის წესით

საქ. კომ. პარ. ტფ. ორგ მე-4-ე სარაიონო კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 28 აპრილს დილის 9 საათზე სარ. კომიტ. შენობაში შესდგება

სარ. კომიტეტის პლენუმი

რადგანაც საკითხები მეტათ მნიშვნელოვანია, წინადადებას აძლევს ყველა წევრებს და კანდიდატებს დაესწრონ აუცილებლად.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ **ხაცკევიჩი.**

სამხრეთ-ოსეთის საოლქო პარტკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მოხსენებიდან მარტში 1923 წ.

მუშაობის პირობები.

ოლქის მდებარეობა უმთავრესათ მთაგორიანია, როგორც მაგ. როკის, ყემულთის, კუდარის, ლეხურის, მონასტერის, ჯავის, ბელოთის, ანდიაეთის და სხვა. ამ რაიონებში მიმოსვლა არა თუ ზამთარში, ხშირათ ზაფხულშიც შეუძლებელია წყალდიდობისა და თოვლის გამო. საოლქო ცენტრსა და რაიონებს შორის არ არსებობს კავშირი არც ტელეფონით, არც ტელეგრაფით; გზებიც მეტ შემთხვევაში უვარგისია. ოლქის დარბევა 1920 წ. მენშევიკებისაგან, რის გამოც ნაკლულევანება შენობების და საზოგადოებრივი დაწესებულებების, კიდევ უფრო აძნელებენ მუშაობის წარმოებას ადგილებზე. მიუხედავათ ამისა პარტიული მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა და უმთავრესი კამპანიები სასურველათ ჩატარდა სამხრეთოსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის, ქალთა განყოფილების და პროფკავშირთა საბჭოს მონაწილეობით.

ანტისარწმუნოებრივი კამპანია.

მცხოვრებლები დიდი თანაგრძნობით ხვდებიან ანტისარწმუნოებრივ პროპაგანდას, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ რამოდენიმე რაიონში სწარმოებს. ხალხი გრძნობს სარწმუნოების უაზრობას და მავნებლობას; ჯავის რაიონში ჯერ კიდევ შარშან იყო შემთხვევა ეკლესიის ბიბლიოთეკა-კლუბათ გადაკეთების, წელს კი ასეთი შემთხვევები სხვა რაიონებშიც არის, ყორნისში.

ქალთა საერთაშორისო დღე.

8 მარტს მოწვეული იყო ქალთა კონფერენცია, რომელზედაც ამხ. სანაყოევმა და კოზაევმა გააკეთა მოხსენება. პოლიტგანათლების განყოფილებამ მოაწყო სპექტაკლი. დადგმულ იქნა პიესა: „კომუნისტკა" ოსურ ენაზე, წაკითხულ იქნა სათანადო შინაარსის ლექსები და სხვა.

თებერვლის რევოლუციის 6 წლის თავი.

ეს დღესასწაული საუკეთესოდ ჩატარდა ცხინვალში. უჯრედების ღია კრებებზე 11 მარტს წინასწარ დასმულ იყო საკითხი დღესასწაულის ისტორიის და ჩატარების შესახებ. იმავე დღით საღამოს მოწვეული იყო საერთო პარტიული კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდენ ამხ. კოზაევი, პილიევი და სანაყოევი. მეორე დღეს ამ ამხანაგების და ვ. ნუცუბიძის მონაწილეობით მოწყობილ იქნა მიტინგი, სადაც თებერვლის რევოლუციის მნიშვნელობა განმარტებულ იქნა ოსურ და ქართულ ენაზე.

(დასასრული იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(26 აპრილი)

ოქროს 10 მან. —13,600 ათასი.
გირ. სტერ. (ჩეკ.) 7,300 ათასი.
დოლარი (ჩეკები) 1.650 ათასი.
ლირა — — — 1,250 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ. 16,25. ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი.

(26 აპრილი).

ოქრო 96 სინჯ. მისხალი — 3 მან. 40 კაპ., ოქრო 56 სინჯ მისხალი—1 მ 70 კ. ვერცხლი 84 სინჯ. მისხ.—6,75 კაპ. 1 მანეთი ბანკის (ვერცხლი) 40 კაპ. 1 მან. ხურდა მანეთის—16,5 კაპ.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება

სავალიუტო ბაზარზე შემჩნეულია ვალიუტის კურსის აწევის ტენდენცია. გუშინდელთან შედარებით ფასები მნიშვნელოვნად დაიცა.

ვალიუტა ბაქოში

(25 აპრილი.)

ოქროს 10 მან. —11,200 ათასი.
გირ. სტერ. — — 7,497 ათასი.
დოლარები — — 1 666 ათასი
ლირა — — — — 1,080 ათასი.

ვალიუტა ბათომში

(25 აპრილი)

ლირა — — — — 1,150 ათასი
დოლარი — — — 146 პიასტრი.
გირ. სტერ. — — 680 პიასტრი.
ოქროს 10 მან. —10,65 პიასტრი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(ბითუმად)

ხორბალი ყუბანის ფუთი—650—750 ადგილობრივი ხორბალი—600—650, ბრინჯი აჭულის—6.000, ფქვილი „კრუპჩატკა"—1950, ფქვილი ყუბანის 1600—1700, ქვა მარილი—800, შაქარი რაფინადი ჰოლანდ. ფუთი—34 მ. რუს. რაფინადი—10 მ. და 75 კაპ., ჩაი „კაზვინი"—100 ლირა, კარაქი—1600—16500, ყველი თუშური—9000—1300.

მუშათა მთლიან კოოპერატივის ფასები.

(26 აპრილი).

პური თეთრი—25, შაქრის ფხვნილი—260, საპონი „ტოლე"—190, საპონი მარმარილო—190, წუწუმა—20, ლობიო—20, მარილი 35.

რუსეთ-გერმანიის საქონლის გაცვლა-გამოცვლა

მსოფლიო საქონლის ბაზარზე ძლიერ მწვავეთ გრძნობენ რუსეთის მოწყვეტას, როგორც მყიდველის. ამიტომ არის, რომ ინგლისი, რომელიც ყველაზე დიდათ განიცდის უმუშევრობის შედეგებს და რომელიც ყველაზე უფრო არის ჩაბმული მსოფლიო რთულ ეკონომიურ ურთიერთობაში, ძლიერ დაინტერესებულია რუსეთის აღდგენით, გერმანიის ტეხნიკის და ინგლისის კაპიტალის თანამშრომლობის საშუალებით შესაძლებელია რუსეთში წარმოების აღდგენა, რასაც მოჰყვება რუსეთის სყიდვითი ძალების ზრდა. რუსეთის მრეწველობა მეტად მცირეა მის ვეებერთელა ტერიტორიასთან შედარებით. ამიტომ მას არ შეუძლია რუსეთის მცხოვრებთა დაკმაყოფილება ყველა მოსახმარი საგნებით. აი, სწორედ აქ, გერმანიის წარმოებას შეუძლია და სურს აღმოუჩინოს დახმარება. რუსეთის მრეწველობას და სოფლის მეურნეობას. გერმანიას შეუძლია მიაწოდოს რუსეთს სხვა და სხვა მანქანები, იარაღები, ხელსაწყობი, მოწყობილობა და სხვა, ყველაფერი ეს იქნება არა მარტო პირველ ხარისხოვანი, არამედ ხელსაყრელ ფასებშიაც.

მეორე მხრით გერმანია შეიძენს რუსეთის საექსპორტო საქონელს: სელს, კანაფს, ზეთს, კვერცხსა და სხვა.

(„იუბერზე პოსტ.").

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ანგარიში 1922 წლის მუშაობის შესახებ

ამ დღეებში პრესაში იქნება გამოქვეყნებული საქ. სახ. მეურ. უმ. საბ. ანგარიში 1922 წლის მუშაობის შესახებ. გარდა ლიტერატურული მასალისა საქ. სახ. მეურნ. უმ. საბჭოს მრეწველობის და ეკონომიურ დარგებში მუშაობის შესახებ ანგარიშში იქნება მოთავსებული სხვა და სხვა წარმოებათა ტაბლიცები, რომელიც გვ ჩვენებს მუშა ძალის ყოველთვიური მოძრაობას, წარმოების მუშაობას, სამუშაო ხელფასს და სხვა.

ანგარიშთან იქნება დართული აგრეთვე დიაგრამები, რომელიც თვალსაჩინოთ გამოხატავს თითეულ მრეწველობის პროდუქციის მოძრაობას.

ლითონის განყოფილებაში.

ამ დღეებში დამთავრდება სათბობი განყოფილებისათვის ელექტრონის სადგურის მოწყობა. შეუდგნენ მუშაობას გლაუბერის მარილის დამმუშავებელ ქარხნის მოწყობას.

ამ მოკლე ხანში მეტრიული სისტემის შემოღების გამო, ზომისა და წონის პალატამ მისცა დაკვეთა ღირებული 60000 მ. ოქროთი. ამ ვე დროს [illegible]-სახელოსნოები შეუდგნენ გირების, ლითონის და ხის მეტრების დამზადებელ სახელოსნოების მოწყობა".

პოლიგრაფიული განყოფილება.

პოლიგრაფიულმა განყოფილებამ გაუშვა მუშაობაში მე-2 სტამბასთან საროტაციო მანქანა ამ მანქანაზე იბეჭდება გაზ. „ზარია ვოსტოკა".

ვაჭრობა-მრეწველობის აღწერა.

საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის აღწერის ჩასატარებლათ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან მოეწყო ცენტრალური ბიურო, სადაც შევიდნენ წარმომადგენლები: ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდან ამხ. გრიგორიანი და მ კეხელი; საქ. უმ. სახ. მეურ. სტატის. განყოფილებიდან—ა. განჩაროვი და ამ—კავ ფინ. კომის სტ. განყოფილებიდან—ბ. ბარუშოკი—პავლოვი.

ბეითალთა მომავალი ყრილობა

რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში, ექიმ-ბეითალთა ყრილობა სულ არ ყოფილა მოწვეული და საქმის მდგომარეობა-კი მოითხოვდა, რომ ასეთი ყრილობა ყოფილიყო მოწვეული.

ორი წლის განმავლობაში ცხოვრება ისეთ ნაირათ შეიცვალა, ისეთი ახალი საკითხები და ამოცანები წამოაყენა, რომ მათ უპასუხოთ, გადუჭრელათ დატოვებას ფრიად დიდი ვნების მოტანა შეუძლია.

თვით საბეითლო საქმის წყობილება შეუცვლელათ არის გადმოტანილი შიდა რუსეთიდან საქართველოში და გარემოება დიდ შეუსაბამლობას წარმოადგენს თავის-თავად, ვინაიდან მივიწყებულია ამ შემთხვევაში ჰავის, მიწა-წყლის, საქონლის მოვლა-შენახვის და ხალხის ზნე ჩვეულებათა ადგილობრივი განსაკუთრებული პირობები.

მაშასადამე საჭირო იყო აქნობამდე ყრილობის მოწვევა. ადგილობრივ პირობების მიხედვით საქმის მოწყობა. გარდა ამისა, დღეს საქართველოს ცხოვრების სინამდვილეში მწვავეთ არის წამოჭრილი საქონლის ექიმთა სიცოტავე და სასწავლებლის უქონლობა, რაც მომავალში უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს.

ამ საკითხის საჩქარო გადაჭრა და მოგვარება ყრილობის ვალია.

ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი საბეითლო საქმიანობაში არის აგრეთვე პირუტყვთა გადამდებ სნებთან ბრძოლა.

ყრილობამ ამ საკითხზე თავისი გადაჭრილი კომპეტენტური სიტყვა უნდა სთქვას.

პირუტყვთა აქიმობა, მკურნალობა არა ნაკლებ საყურადღებო საკითხია ჩვენი სოფლის მეურნეთათვის. ამჟამათ იშვიათათ თუ სადმე ნახავს კაცი მაზრაში პირუტყვთა სამკურნალოს, ან თუ უწინ იყო ამისთანა რამე, დღეს სულს ღაფავს უწამლობისა და იარაღის უქონლობის გამო. ყრილობამ შესაფერი მალამო უნდა გამოუნახოს ჩვენი ცხოვრების ამ ჭრილობასაც.

ყრილობის მსჯელობის საგნათ უნდა გახდეს აუცილებლათ ჩვენი მესაქონლეობის აწინდელი მდგომარეობა და მომავალი პერსპექტივები, უნდა გამოინახოს ნამდვილი გზა ჩვენი საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისა და მომრავლებისა.

ერთის სიტყვით, საქონლის ექიმთა მომავალ ყრილობას ბევრი საჭირბოროტო საკითხები ექნება გადასაწყვეტი და იმედი უნდა ვიქონიოთ, ყრილობა დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც კერძოთ ჩვენს მესაქონლეობას, ისე მასთან მჭიდროთ დაკავშირებულ სასოფლო მეურნეობას.

მ—ლი.

საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში

კვირას, 22 აპრილს, ტფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში შესდგა ტეხნიკურ საზოგადოების მორიგი კრება, რომელზედაც ინჟ. ბ. ა. ჭეჭინაძემ გააკეთა საინფორმაციო მოხსენება შემდეგ თემაზე: „შვეციის სახელმწიფო ჰიდროელექტრონული სადგურები". კრებას საზოგადოების წევრთა გარდა, მრავალი სტუდენტები დაესწრო.

მომხსენებელი მოკლედ განმარტავს წყლის ენერგიის საქმის განვითარების ისტორიას შვეციაში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი ეს საქმე იქ სახელმწიფოს ხელშია. მოხსენებაში, რომელიც დასურათებული იყო ნახაზებით და ფოტოგრაფიული სურათებით, აღნიშნულია მთავარი სახელმწიფო ჰიდროელექტრონული სადგურები; ტროლჰეტენი, პორიუსი, მოტალა, ალვკარლები და „ელრიზერვი" სადგური ვესტერესი, აგრეთვე ახალი სამუშაონი და გეგმა შვეციის ელექტროფიკაციისა.

მოხსენებაში ყურადღებას იპყრობს სქემა მმართველობისა, რომელიც შემოიღო შვეციის რეიხსტაგმა წყლის ენერგიის გამოყენების საქმის გასაძღოლად და რომლიდანაც სჩანს, რომ მთავარი ორგანო-გამგეობა მთავრობისაგან დანიშნულ თავმჯდომარისა და ოთხი წევრისაგან შესდგება. უკანასკნელნი მთავრობის სამსახურში არ ირიცხებიან და აირჩევიან მთავრობის დასტურით საამშენებლო, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის და იურიდიულ სპეციალისტების წრეებიდან. მმართველი აპარატი მეტად მარტივია და სავსებით აცილებულია ყოველივე ნიშნები ე. წ. ბიუროკრატიზმისა.

მეორე, მეტად საყურადღებო და საინტერესო ადგილი მოხსენებისა ეხება ელდენის მოხმარებელთა „კავშირების" დაარსების საქმეს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია შვეციის მთელ ეკონომიურ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და წვრილ მრეწველობის განვითარებაზე. ასეთი კავშირები არსდება კერძო მრეწველთა, სოფლის მეურნეთა, სოფლის საზოგადოებათა მონაწილეობით, და კანონის ძალით მათ უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფო შენახველ კასიდან შეღავათიანი სესხი 10—25 წლის ვადით ელდენის განმანაწილებელ ქსელის მოსაწყობად. ასეთი ქსელები ხშირად რამოდენიმე ას კილომეტრს შეიცავენ და მრავალ სატრანსფორმაციო სადგურებს; ამრიგად, პირველი მნიშვნელოვანი ხარჯი ადვილ პირობებში ხდება და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: ჰიდროელექტრონული სადგურები სწრაფად პოულობენ ენერგიის მომხმარებლებს, ადვილდება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება და დიდის სისწრაფით იზრდება ხალხის და საერთოდ სახელმწიფოებრივი სიმდიდრე.

მოხსენება დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი და მრავალი შეკითხვები გამოიწვია.

მ. ქ.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: შესაძლებელია თუ არა ნორმალურ სამუშაო დრო აღემატებოდეს რვა საათს?

პასუხი: შეუძლებელია.

კითხვა: რა შემთხვევებში და რომელ კატეგორიის მომუშავეთათვის არის დაწესებული ექვსი საათის სამუშაო დრო?

პასუხი: ექვსი საათის სამუშაო დრო დაწესებულია: 1) მოზარდთათვის—16—18 წლამდე; 2) გონებრივი მომუშავეთა და კანტორის მოხელეთათვის, თუ კი მათი სამუშაო უშუალოდ არ არის დაკავშირებული და დამოკიდებული წარმოებასთან, 3) იმ პირთათვის, რომელთაც უხდებათ მუშაობა შიგ მიწაში (მაღაროებში), თანახმად შრომის კომისარიატის მიერ დაწესებულ პროფესიული სიისა.

კითხვა: რომელ დარგის მომუშავეთათვის მცირდება სამუშაო დღე?

პასუხი. შემცირებული სამუშაო დღე წესდება იმ დარგის მომუშავეთათვის, რომელთაც უხდებათ მუშაობა ფრიად ძნელი და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წარმოებებში.

კითხვა: ვინ ადგენს და აწესებს აღნიშნულ მძიმე სამუშაოს ნორმას და სიას.

პასუხი: მას ადგენს და აწესებს თვით შრომის სახალხო კომისარიატი.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა ნორმალურ სამუშაოსათვის დაწესებულ დროს შემცირება და რა შემთხვევებში.

პასუხი: აღნიშნულ დროის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მუშაობა წარმოებს ღამით და მაშინაც ნორმალურ დროს შემცირება ხდება მხოლოდ ერთი საათით

(იხ. კოდ. შრ.-კან. მუხ. 94—96).

საქონლის მანეთის კურსი

(შრომის კომისარიატის და ს. პ. კ. ს. საყურადღებოდ).

თანახმად შრომის კომისარიატის და ს. პ. კ. ს. დადგენილებისა საქონლის მანეთის კურსი, გამოცხადებული ყოველთვის 12 რიცხვში, სავალდებულოა ანგარიშის გასასწორებლად იმავე თვის ბოლომდე. ის ზომა, შეიძლება, ტეხნიკურად ფრიად აადვილებდეს ანგარიშს, მაგრამ, საუბედუროდ, მიმდინარე აპრილში ის მეტად საზარალო აღმოჩნდა მათთვის, ვინც ამ კურსით ღებულობს შრომის ხელფასს, ვინაიდან 12 აპრილს აქეთ, თვის ბოლომდე, ფასების ზრდამ თითქმის ორჯერ გადააჭარბა ამ სავალდებულო კურსს, რითაც ხელფასი ფაქტიურად განახევრებას უახლოვდება. აუცილებლად საჭიროა შეიცვალოს საქონლის მანეთის კურსი საბაზრო ფასებთან შეფარდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები ჩავარდებიან ფრიად მძიმე მდგომარეობაში.

მუშკორ ა. ნ.

ცენტრალური მუშათა კლუბი

23 აპრილს ექვსი თვის შეჩერების შემდეგ ეღირსა ც. მ. კ. ქართული სალიტერატურო საღამოს გამართვა აქ ყოველთვის თავის სიმაღლეზე იდგა და სდგას რუსული და სომხური წარმოდგინები. ორივესაც ხალხი საკმაოდ ესწრება. ქართულმა კი სამწუხაროდ ვერ მოიკიდა ფეხი, რაც უნდა მიეწეროს, სხვათა შორის ქართველ ხელოვნების მოღვაწეთა გულგრილობას მაგრამ დღეს გულგრილობის დრო არ არის; საქმის დროა, ის უნდა შეიგნონ ქართულ მსახიობებმა და მათი აუცილებელი ვალდებულობაა მიაწოდონ ქართველ მუშას სათანადო სულიერი საზრდო სისტემატიურად და დაუზარებლად. ამას წინად გამგემ მოიწვია სახალხო სახლიდან მსახიობი რომანიშვილი, რომელმაც ისეთი ფასი მოითხოვა, რომ კლუბი ამ ხარჯს ვერ აიტანდა და იძულებული გახდა რომანიშვილისთვის უარი ეთქვა. აქაური ბილეთების ფასი 20—40 ათას მანეთს არ აღემატება და დიდი ხარჯების გაღება მუშათა კლუბს არ შეუძლია. აკადემიური ქართული დასი და ნიჭიერი ქართველი მსახიობები მუშათა კლუბს არ ეკარებიან, და ისეთი ვიგინდარა სცენის მოყვარეთა დასს კი, რომელსაც არ შეუძლია დაქანცულ მუშის გულში შემოქმედებითი გრძნობა აღძრას, ამას არც მუშები ესწრებიან. დროა ცენტრალურ მუშათა კლუბს ყურადღება მიაპყრას და ქართულ წარმოდგენებს და სალიტერატურო საღამოებსაც მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს. როგორც ზევითა ვსთქვით 23 აპრილს აქ გაიმართა სალიტერატურო საღამო. წაიკითხა ლექცია „შრომის საკითხი ქართულ ლიტერატურაში", ლექტორმა ბეგიაშვილმა, რომელმაც მშვენიერად დაასურათხატა პოეზიის მნიშვნელობა შრომის სფეროში, შემდეგ პროფკავშირის გუნდმა კალანდაძის ლოტბარობით იმღერა ქართული და რუსული სიმღერები, რამაც დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება, მერე გიორგი ჩარხიშვილმა განუმარტა ხალხს პროლეტარების „აღდგომის" და ბურჟუაზიის „აღდგომის" შესახებ და დაამთავრა თავისივე ლექსით „პროლეტარების აღდგომა". წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. საჭიროა ასეთი ქართული საღამოები და წარმოდგენები მუშათა კლუბში სისტემატიურად მოეწყოს, ამ რაიონის ქართველ მუშებსაც ის საზრდო მიეცეს რაც მათთვის გასაგებია და აუცილებელი საჭიროა.

დამსწრე.

სამტრედიის ქალაქის მუშათა არტელში

(წერილი პროვინციიდან)

ეს არტელი დაარსდა საბჭოთა ხელისუფლების დაარსების შემდეგ. ის აერთიანებს რამოდენიმე ათეულ მუშას. მანამდის, ძველ მთავრობის დროს აქ არ იყო ასეთი არტელი, რომელიც გააერთიანებდა ბევრ მუშებს და მათ გონებრივ განვითარებას ხელს შეუწყობდა.

არტელი ერთი წელიწადზე მეტია, რაც არსებობს, მაგრამ საკითხავია, რას აკეთებს ის., რამდენათ ასრულებს ის თავის როლს და დანიშნულებას.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ის რიგიანად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, რადგანაც ჩვენ ვხედავთ არტელის მუშებს ხშირად, და არამც თუ ხშირად—თითქმის ყოველდღე, სამიკიტნოებში და ღვინის საწყობებში აქ ატარებენ დროს და ქეიფობენ, რაც ასეთ შეკავშირებულ ორგანიზაციას სრულებით არ შეფერის. არტელი თავის წევრებს უნდა ათვითცნობიერებდეს. თავისუფალ დროს ისინი უნდა კითხულობდნენ ჟურნალ-გაზეთებს სამკითხველოებში, უნდა ესწრებოდნენ სხვადასხვა ხასიათის მოხსენებებს, რომლებიც ხშირად იმართება მუშათა კლუბებში. ამას გარდა არტელის წევრთა ცუდი ყოფაქცევა გლახა შთაბეჭდილებას ახდენს საჭიროა, ჩვენმა ამხანაგებმა, რომელნიც არტელში არიან, მიაქციონ ამას მეტი ყურადღება, გააძლიერონ შიგ არტელში გონებრივი მუშაობა და დააყენონ მისი წევრები სწორ გზაზე. ამას, გარდა ჩვენ ვიცით, არტელში წერა კითხვის უცოდინარებიც არიან; საჭიროა, საჭიროა მათაც წერა-კითხვა შეასწავლონ.

სან—კანი.

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

ამ დღეებში მეოთხე რაიონის შრომის ინსპექტორმა ამხ. სალიაშვილმა შრომის კანონების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა და პასუხისგებაში მისცა შემდეგი ექსპლოატატორები

ხადურგლოს სახელოსნოს პატრონი (მადათოვის ქ. № 24) **ე. ტერ-გევორქიანი და ხ. დუპიტიანცი,** რომელნიც ამუშავებდნენ ორ დაქირავებულ მუშას და ჯამაგირს კი არ აძლევდნენ კავშირის განაკვეთის მიხედვით მუშებს არ ჰქონდათ საანგარიშო წიგნაკები და არც დაზღვეულნი იყვნენ, არ ჰქონდათ აგრეთვე სპეციალური სამუშაო ტანსაცმელი;

2) საძეხვე სახელოსნოს პატრონი (მადათოვის ქუჩ. № 37) **იაგორ ხორიაშვილი,** რომელიც ამუშავებდა შრომის ბირჟის გარეშე მიღებულ ხელოსანს ედმუნდ რომოვს 1922 წ. მარიამობისთვიდან. სახელოსნოში დაცული არ იყო 8 საათის სამუშაო დრო; მუშა რომოვი დაზღვეული არ ყოფილა და მას არც საანგარიშო წიგნაკი აღმოაჩნდა.

3) **ფეხსაცმელების სამკერვალო.** (კარლ მარქსის ხიდი) პატრონი **მიხეილ სარქისოვი**—ამუშავებდა 3 ხელოსანს, რომელთაგან ერთი 13 წლის ყმაწვილი ბირჟის გარეშე ჰყოლია აყვანილი, საანგარიშო წიგნაკები მუშებს ჰქონიათ, მაგრამ ისინი სისწორით ვერ არის ნაწარმოები, მუშებს არა აქვთ სამუშაო წინსაფრები.

— **ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონი (მუხრანის ქ. № 14) ტუტუნჯიანცი და სტეპანიანცი**— ამუშავებდნენ 12—13 წლის მოზარდს, რომელიც შრომის ბირჟის გარეშე მიუღიათ, არც დაზღვეულია და არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონებია ყმაწვილი 4 საათის ნაცვლად მუშაობდა 8 საათს.

სახლიდან ქარხანამდე

1

მინდა კალამი ავიღო,
რახან დამკრა მუზამ..
მომიტევეთ, თუ ძალიან
კარგად ვერ შევთხუზამ.
კეთილ მხარეს შევიყვარებ—
მეც სიკეთეს ვუზამ;
ბოროტ მხარეს შევიძულებ,—
ერთი-ორს მაინც ვდრუზამ,

2

უსწავლელი და [illegible],
არაფრის მაქანა,
მანქანასთან გამოზრდილი
შევიქენ მანქანა,
თავიდანვე მწარე ბედმა
ოფლში მაქანქანა,
ხან აღმა და ხან ჩამოღმა,
ხან შორს გამაქანა.

3

ცხოვრებაში ყველა ვნახე:
კინტო, სალახანა,
ვირა და ვერ შევითვისე
[illegible], ყაჯახანა,
პატრონიან ოჯახებში
დავალ ხანდახანა.
სულ ყველაზე უფრო მიყვარს
მუშა და ქარხანა.

4

მშრომელი ვარ, მით ვამაყობ,
რაც სახელი მქვია,
შაბათ ღამეს მაძღარი ვარ,
ექვსი დღე სულ მშია,
თუნდ ქვეყანა შემაძლიონ,
გულს ვერ შემიცვლიან,
როცა მუშის ზეიმია,
მაშინ მიხარიან.

5

ღამე ძილში დავიღალე
მუშაობით, შრომით,
გრდემლზე ურო გადამიცდა
ბევრი ბრძოლით, ომით,
უეცრად თვალები ვჭყიტე
ფეხზე წამოხტომით,
სარკმელში გადავიხედე,
შევყვირე შეცდომით:

6

— უჰ, დამგვიანებია,
ყოფილა საყვირი!
გავვარდი და შინ დავტოვე
ბავშვი ანტირი,
კედელ კედელ დავიჭირე
ქუჩის განაპირი,
მივრბივარ, რომ შევასრულო
საქმე დანაპირი.

7

გზაში უკან შემეფეთა
ღვდელი დიაკვნითა,
ალბად ბავშვი მონათლათ
ძუძუთა აკვნითა:—
„ვაიმე თუ დავითარსე"!—
ვთქვი გულამოსკვნითა,
დავწვდი ქვა გადავაჩრუნე
მუხლების კლაკვნითა.

8

მივახლოვდი ქარხნისთან:
სიჩუმეა ღამის,
არც მანქანის ხმაურობა,
არც სხვა მსგავსი რამის...
მარაგიან ცას შევხედე—
გადვირიე ლამის,
მთვარემ მადა დამიკარგა
მშიერ გულზე ჭამის...

9

დავტრიალდი უბილისო
ფიქრებში, დარდებში,
ხან ჭილობში გავეხვიე,
ხან ფარჩის ფარდებში,
ჩემი ოცნება დაქროდა
ეკლიან ვარდებში,
ცოლი ცელქი პატარათი
დამიხვდა კარებში:

10

— კაცო, ეგ რა დაგემართა,
რათ დარჩი უძილო?
სახლიდან ისე გარბიხარ
თითქო ხარ უშვილო,
ან თუ გამოყრუებული
ბებერი უკბილო!
ვის გინდა მაგდენი შრომით
გული გაუთბილო?!

11

— რა ვქნა, მიყვარს, ჩემო კარგო,
მე ლუკმა ალალი,
არ მინდა კარზე მოგვადგეს
გზირი ან დალალი,
ყველამ უნდა მოიხადოს
თავის წმინდა ვალი,
[illegible]
შრომის განაკვალი.

12

ჩემი დრო რომ არ ვიცოდი,
ვიქნები ზარმაცი,
[illegible]
მსურს ვიყვე ვაჟკაცი,
უზომო რა საჭიროა
ან მუქი ან ბაცი,
არ ავიღებ, რომ მაჩუქონ
ქვეყნის მონატაცი...

13

სიმდიდრე არ მინატრება,
მძულს მარად არამი,
არცა ძილი გოლითი
ყარამან ზარამი,
ახლა ჩაქუჩი და ურო,
ბარის ნაბარავი,
ვინც არამი მოიტანოს
გაუხმდეს ვარამი.

14

ამ სიტყვებზე მომეხვია
სატრფო ალერსითა,
ცეცხლის ალი მომიკიდა
კოცნის ნაკვესითა,
დრო აღარა ჩერდებოდა,
გარბოდა წესითა,
გათენება არ მინდოდა,
ვიღოდი კვნესითა..

15

ღამის სიჩუმე დაირღვა,
ქუჩა ახმაურდა,
ჩაქუჩის და უროს ცემით
გრდემლი კვლავ გახურდა,
გაიღვიძა ალებ-მიცემა,
ანგარიში, ხურდა,
გავწიე და მივაღწიე,
რაც მეწადა, მსურდა.

16

ახლა ქარხნის შეგუმრები,
კვლავ ჩარხის გრიალი,
ახლა ოფლი და ხალისი,
კვლავ ბრუნვა-ტრიალი,
თითქო ომი გაიმართა
და ორომტრიალი,
ჩარხის გუგუნს შეუერთდა
ცოლშვილის ტრფიალი.

17

— დაჰკარ, რკინა გამოკვერეთ
მანამ არის ცხელი,
ცუღლუტობის დრო წავიდა,
ნუ ხარ ენა-გრძელი,
არც ისეთი პატარა ხარ,
ცოტაც გაუძელი,
ჯერ შრომა და შრომის შემდეგ
საწოლ-სავარძელი...

18

რვა საათი: მესამედი
მთელი დღე და ღამის—
საუკუნედ გადაიქცა
ოცდაოთხი ჟამის,
როგორც იყო, გავაწყვიე
დრო საქარხნო დრამის,
ქუჩაში სხვებთან მოვყევი
ამხანაგი სამის.

19

ერთი სარდაფთან გაჩერდა,
ჩაირბინა კიბე,
მობრუნდა და ჩაგვიწვია,
ვერაფერი ვკიბე,
უარი ვერ მოვახერხე
თუმცა ენა ვქლიბე,
იქიდან ამოვიტანით
ცარიელა ჯიბე.

20

მე ბოდიში მოვიხადე,
გამოვემშვიდობე,
ოჯახური მიზეზებით
საქმე გავაცნობე,
კედელ-კედელ მოუარე,
გადავთელე ლობე,
თავში ღვინო მიბრუწყინავდა,
დარდებს მით ვაჯობე..

21

დიდ ქუჩაზე დავინახე—
ბავშვი სულსა ლევდა,
შიოდა და პურის ლუკმას
არვინ აწოდებდა,
[illegible],
შემომაწვა სევდა,
დიდხნობამდინ მისი სახე
აჩრდილივით მდევდა.

22

კვლავ ვიხილე, ერთი ქალი
„შლეიფს" მიათრევდა,
გვერდზე მისი „კავალერი"
„გალტს" მიართმევდა.
თუმცა სევდით სავსე ვიყავ—
თვალი მათკენ მძლევდა..
და ვფიქრობდი: დრო „ორობას",
როდის დაარღვევდა?!

23

შინ მივედი ჯავრიანი,
კვლავ ავდექი დილით,
ქარხნისაკენ გავეშურე
დაკლებული ძილით,
მუშა ქალი დავინახე
წითელ ხელმანდილით—
ქუჩის ბავშვებს აპურებდა
[illegible] ტკბილით.

24

ოცნებას ფრთა გაეშალა,
ზეცამ ჩამინაჭა,
მეტის სიხარულისაგან
დამავიწყდა ჭამა.
ცრუ ტრაპეზზე მიდიოდა
სინამდვილის დრამა,
ლოიდ-ჯორჯს დედა მოუკვდა,
პუანკარეს—მამა.

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

ქრონიკა

ა.-ქ. კომისართა საბჭოში

— **სურათების გამოფენის მოსაწყობად.** ა.-ქ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მისცეს 87,000 მან. ოქროთი საქართველოს სურათების გამოფენის მომწყობ კომიტეტს გამოფენის მოსაწყობად.

— **ციებ-ცხელების წინააღმდეგ.** ა.-ქ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიიღოს გადაჭრილი ზომები ამიერ-კავკასიის ფარგლებში ციებ-ცხელების მოარულობის წინააღმდეგ და მისცეს წინადადება ყველა ამ.-კავ სახალხო კომისართა საბჭოებს შეიმუშაონ სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა ამ სენთან საბრძოლველად.

— **გაგრის აგარაკის აღდგენა.** გაგრის აგარაკის აღსადგენათ ამავე კომ. საბჭომ გადასდო 60 მილიარდი მანეთი.

— **საქართველოს გზების შესაკეთებლათ** ა.-კ კომისართა საბჭომ დაადგინა საქართველოს გზათა კომისარიატის მმართველობის რწმუნებულის განკარგულებაში გადასდოს 10 მილიარდი მანეთი საქართველოს მოკვნეთილ გზების შესაკეთებლად.

ამ.-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

— **ძირტკბილა.** ა.-ქ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო 36 ვაგონი ძირტკბილა (მცენარე) რომელიც გაიგზავნება საზღვარ-გარეთ სხვა საქონელზე გადასაცვლელად.

— **საქონლის შემოტანა და გატანა.** ა.-ქ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ცნობით მთავარ საბაჟოდან თებერვლის განმავლობაში შემოტანილ იქნა შაქარი—10065 ფ. ბრინჯი—59530 ფ. მანუფაქტურა—700 ფ. სულ სხვა და სხვა საქონელი თებერვლის განმავლობაში შემოტანილია: 203022 ფ. გატანილი—2210512.

განათლების კომისარიატში.

— **ახალი კურსების გახსნა.** სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილებამ გახსნა პედაგოგიური კურსები საბავშო დაწესებულებების მასწავლებელთათვის ახალი პედაგოგიური მეთოდების შესასწავლად. კურსებზე გარდა სპეციალურ ლექციებისა, იკითხება პოლიტიკურ-ეკონომია და საბჭოთა აღმშენებლობაზედაც.

— **ცირკულიარი ყველა სახალხო განათლების განყოფილებებს.** განათლების სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობა ყველა განათლების განყოფილებებს რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთან და კონსულთან მიწერ-მოწერა უნდა სწარმოებდეს ა. უ. ფ. ს. ხ. გარეშე სახალხო კომისარიატის საშუალებით.

ქალაქის აღმასკომში.

— **ქუჩების განათება.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მიეცეს ელექტრონის სამმართველოს დაუყონებლივ გაიყვანოს ელექტრონი სანაპირო ქუჩებზე და აგრეთვე ერთი დიდი ელექტრონის ფარანი დაიდგას ვერის ხიდზე.

— **მეორე საავადმყოფოს ბაღი.** პრეზიდიუმის დადგენილებით წინადადება მიეცა [illegible]-მამულო განყოფილებას გაგზავნოს მებაღეები მეორე საავადმყოფოს ბაღის მოსავლელათ.

— **ტრამვაის ნიხრი.** 23 აპრილიდან დამტკიცდა ტრამვაის შემდეგი ნიხრი: ტრამვაი № 1—2 ხაზზე—30—60 ათასამდე, № 3 30—50 ათასამდე № 4 30 ათასი, № 6—7 30—50 ათასი № 11 15 ათასი, № 12 30—55 ათასი, № 20 30—50 ათ.

— **ხაზობი მახალების ფასების შესახებ.** ვინაიდან უკანასკნელ ხა-

ნებში საგრძნობლად დიდი ფასები დაწესდა სათბობ მასალებზე—აღმასკომის კომ. მეურნეობის განყოფილებამ დაადგინა შუამავლობა აღძრას სახალხო კომისართა საბჭოს წინაში ხელ-ახლა გადაისინჯოს სათბობ მასალაზე ფასის დაწესების საკითხი კომ. მეურ. განყ. წარმომადგენელის მონაწილეობით.

— **აგურის მიცემა.** კომ. განყ. კოლეგიამ დააკმაყოფილა ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის სახლების აღმშენებელი ამხანაგობა და დაადგინა მიეცეს აგურები ზოგიერთ დამწვარ სახლებიდან დარჩენილი.

— **შუამდგომლობა.** კომ. განყ. კოლეგიამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე რათა ერთდროული დახმარება აღმოუჩინოს აფეთქების დროს დაღუპულ ელექტრონის სადგურის მუშას კორპუნენკოს ოჯახს.

— **კოლეგიის წევრები.** კომ. განყ. კოლეგიამ შუამდგომლობა აღძრა აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე, რათა განყოფილების ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამიერიდან დამტკიცდეს სამი წევრი 1) განყ. გამგე, 2) მისი მოადგილე და 3) მდივანი.

შრომის ბირჟა.

— **უმუშევრები.** 25 აპრილს შრომის ბირჟაში გამოცხადდა სარეგისტრაციოთ 1210 უმუშევარი, ამათგან 688 მამაკაცი, 531 ქალი, ამავე დღეს ჩაეწერა 157 ახალი უმუშევრები,—55 ქალი, 102 კაცი, მოთხოვნილებისამებრ სამუშაოზე გაიგზავნა 43, 20 კაცი და 23 ქალი.

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში

დახმარება უმუშევართ.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის გამგეობამ დაადგინა პირველი მაისისათვის კავშირის უმუშევარ წევრთ აღმოუჩინოს დახმარება ფულით.

მელითონეთა კავშირში.

ეკლესიის დახურვა.

მელითონეთა განყოფილების ტ. ბენდუქის სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე დაადგინეს აღძრან შუამდგომლობა ქალაქის აღმასკომის წინაშე რომ დახურულ იქნას მასიონერთა ეკლესია და მის მაგიერ მოეწყოს კულტ განმანათლებელი დაწესებულება.

თუჯის ჩამომსხმელ ქარხნის დახურვა.

ქარხნის შენობის შეკეთების გამო კავშირმა დაადგინა დროებით დაიხუროს თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა და იქ მომუშავე მუშები გადაიყვანონ სამუშაოზე ავტო-სახელოსნოში № 3.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

ქართული წიგნების შეძენა.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ დაადგინა შეიძინოს ქართულ წიგნების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

მუშების ექსკურსია.

პროფსაბჭოს კულტ განყოფილების თაოსნობით კვირას, 29 აპრილს მოეწყობა მუშათა ექსკურსია „თეთრი-დუქნის“ მიმართულებით.

ამიერ-კავკასიის პროფ-კავშირთა დელეგატების ყრილობისათვის.

ამიერ-კავკასიის პროფ-კავშირთა მდივნებს ბიუროს სხდომაზე გამომუშავებულ იქნა ყრილობის დელეგატთა არჩევნების წესი: 1) კონფერენციის დელეგატთა რიცხვი შემცირებულ იქნა და შეძლება მიეცა თითო მაზრას გამოგზავნოს თითო დელეგატი გადამწყვეტი ხმით. 2) კავშირები, რომელნიც იმყოფებიან ცენტრში და მის რაიონებში და ყავთ წევრები 1000-დან 2500 კაცამდე გზავნიან ერთ დელეგატს; 3) თუ კავშირში 2500 წევრზე მეტია, მაშინ იგზავნება 2 დელეგატი; 4) თუ კავშირში მხოლოდ 1000 წევრი ითვლება, იგი მეორე კავშირს უერთდება და შეერთებულად ხდება არჩევნები. 5) მაზრაში არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე.

დასასვენებელი სახლებისათვის.

იმავე სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ ის ფული, რომელიც დანიშნულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშათა დასასვენებელ სახლების მოსაწყობად, გადაეცეს დანიშნულებისამებრ და გაიყოს რესპუბლიკებს შორის პროპორციონალურად.

პროვინციაში

ქ. ახალ-სენაკი.

პედაგოგიური მუზეუმი.

22 აპრილს მოხდა ახალ-სენაკის პედაგოგიური მუზეუმის გახსნა, რომელსაც დაესწრენ ქალ. ახალ სენაკის ყველა ტიპის სკოლების მასწავლებლობა და რამოდენიმე ამ საქმეში დაინტერესებული პირნი.

მუზეუმი მოეწყო სულ ამ მოკლე დროში. მისი მოწყობა თავს იდვეს თვით განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ქობულიამ და განყოფილების ინსტრუქტორ ი. ცომაიამ, რომლებმაც ჩინებულად შეასრულეს თავიანთი პედაგოგიური მოვალეობა, მოვალეობა არა უბრალო ყოველდღიური ჩინოვნიკობის, არამედ, შეიძლება თამამად ითქვას, მოვალეობა ისტორიული, პედაგოგთა ცხოვრებაში.

საგულისხმოა ისტორია ამ მუზეუმის. მუზეუმი თითქმის არაფრისაგან შეიქმნა. თბილისიდან ცოტა რამ იქნა ჩამოტანილი გამგის მიერ. დანარჩენი კი შექმნილი იქნა ადგილობრივად ენერგიული შრომით. დიდად გამოადგა მუზეუმს ადგილობრივ შრომის სკოლის მოწაფეთა ძერწვის ნაწარმოები და აგრეთვე სხვა მათი ნაშრომი, სადაც შემოქმედებითი ნიჭს აქვს ადგილი.

როგორც მუზეუმის გახსნაზე თავის სიტყვაში წარმოსთქვა ამხ ვ ქობულიამ, მუზეუმი არ არის ჯერ-ჯერობით ისეთი ბუმბერაზი რამ, რომელმაც გააკვირვოს ვინმე,—აქ მხოლოდ ჩანასახია ჯერ-ჯერობით. მაგრამ ეს ჩანასახი ისე საფუძვლიანია და ისეა დაწყებული, რომ მასზე შემდეგ სულ ადვილად შეიძლება დიდი საქმის აგება; ინიციატივა იქნა აღებული საქმე დაწყებული და ეს ბევრს ნიშნავს; ყველა პედაგოგმა, ყველა მოწაფემ და ამ საქმესთან დაახლოვებულ და დაინტერესებულ პირებმა უნდა შეიტანონ შიგ თავიანთი წვლილი, და ნაყოფიც მალე გამოჩნდება. მუზეუმის მიზანია დაანახოს ყველა მასწავლებელს, რომ შესაძლებელია და დიდად აუცილებელი სკოლებში შექმნა სასკოლო მუზეუმების.

მასწავლებლობამ სურვილი და კმაყოფილება გამოსთქვა არ დაიშუროს არაფერი ამ საქმისთვის.

გახსნაზე დამსწრე აღმასკომის თ-რე ამხ. ს მ მულიას ეთხოვა აღმოუჩინოს აღმასკომის საშვალებიდან მატერიალური დახმარება მუზეუმს. მუდამ საამშენებლო და კულტურულ ფრონტზე მზრუნავ ამხანაგმა იქვე აღუთქვა ყველას დახმარება.

სთხოვა სახალხო განათლების კომისარიატს იდეური და მატერიალური დახმარების აღმოჩენა მუზეუმისათვის.

მუზეუმში ჯერ-ჯერობით შემდეგი განყოფილებებია: 1) ისტორიული, 2) ეტნოგრაფიული, 3) საბუნებისმეტყველო და 4) საბავშო ბაღი.

საქმე დაწყებულია. პირველი ნაბიჯი გადადგმულია. პატარა, მაგრამ მედგრად და მიზანშეწონილად გადადგმული ნაბიჯი ხშირად დიდ შედეგებს აღწევს.

ვ. ნადარეიშვილი.

ლელვან-მარელისის თემი (ხარაგოულის რაიონი).

20 აპრილს შესდგა ლელვან მარელისის თემის მცხოვრებთა მიტინგი. მიტინგს დაესწრო დიდძალი ხალხი: მათ შორის იყვნენ ქალებიც. მიტინგი გახსნა თემკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ტერენტი მაღრაძემ ცრუ მორწმუნეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ა ხ. იოკიმე ფოფხაძემ, რომელმაც ვრცლათ აუხსნა ხალხს ცრუ მორწმუნეობა, და მისი წარმოშობა. მომხსენებლის სიტყვის აღფრთოვანებით ეგებებოდა ხალხი; გაიძახოდნენ: ძირს ცრუმორწმუნეობა! ძირს მატყუარა სამღვდელოება! გასაკვირალი იყო თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდნენ მოხუცები: ისინი გაიძახოდნენ: ჩვენ აღარ გვწამს ღვდლები და მათი ცრუ მორწმუნეობა მელისკარის და კხოთის წმინდა გიორგის გახსნის შემდეგ, რაღაც „წმინდა ნაწილების“ ნაცვლად ხის და წიფლის ჯირკები აღმოჩნდნენ. წინედ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქალები დასწრებოდნენ ხსენებულ თემის მიტინგზე, მაგრამ ცრუ მორწმუნეობის საკითხმა ისინიც დააინტერესა. ამხ. ფოფხაძემ უკანასკნელი სიტყვებით მოუწოდა მიტინგს—გაეუქმებიათ ეკლესიები და გადაეკეთებინათ სკოლებად და კლუბებათ. მიტინგმა ერთხმათ გამოიტანა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: ჩვენ, ლელვან მარელისის მცხოვრებნი, ზიზღს უცხადებთ ცრუ მორწმუნეობას და ვკეტავთ ყველა ეკლესიებს. ძირს ცრუ მორწმუნეობა. გაუმარჯოს მეცნიერებას! გაუმარჯოს კომუნიზმს!

ტ მაღრაძე.

მენშევიკების განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ).

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტში“ მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება.

მე ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიაში 1905 წლიდან, მაგრამ ვინაიდგან მათ სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავება დავინახე, ამიტომ თვით მენშევიკების ბატონობის დროსაც ჩამოვშორდი ამ პარტიას. მაგრამ რადგან ზოგ ჩემ ნაცნობ მეგობრებს კიდევ ვგონივარ ამ პარტიის წევრი, ამიტომ ვაცხადებ რომ მე არავითარი დამოკიდებულება უკვე აღარ მაქვს მათთან შემდეგი მიზეზის გამო.

დღეს მთელი ქვეყანა ორ უზარმაზარ ბანაკს წარმოადგენს: ერთი მხრით—უკიდურესი რეაქციის ნოციქული პუანკარე. მუსოლინი და მათი ავან-ჩავენები; ხოლო მეორეს მხრივ—საბჭოთა ფედერაცია.

მესამე ბანაკი არ არსებობს ან თუ არსებობს ისეთი სუსტია, რომ მასზედ ლაპარაკიც არ შეიძლება.

გერმანიის ყველაზედ უფრო გავლენიანმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა, რომ მას ძალა არა აქვს დამოუკიდებლად არსებობისა და თავი კუნოსა და სტინეს შეაფარა და პუანკარეს სამშვიდობო ხელს უწევს. ბელგიისა და ინგლისის სოციალ-დემოკრატებზედ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშ რაღას უნდა წარმოადგენდენ აქაური მენშევიკები? ცხადია ასეთ მდგომარეობაში დარჩენა შეუძლებელია და ამიტომ, როგორც გლეხის შვილს, რომელსაც ბატონ-ყმობის უღელი არც ისე დიდი ხანია რაც კისრიდან გადამ გდია, უფრო მეტი საერთო მაქვს მშრომელ ხალხთან და არა მათ მტრებთან.

მე დიდხანს ველოდი რომ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის საერთო ენა გამოინახებოდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს არც ისე მალე ან სულ არ მოხდება, ამიტომ მე ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია მენშევიკურ პარტიის სახელს ვატარებდე და ვრჩები მათ გარეშე.

დომენტი გრ. შარვაძე.

მეც ვურთდები ამხ. დომენტი შარვაძის განცხადებას, და დაუმატებ მხოლოდ, რომ მენშევიკები რომ სოციალისტურ პარტიას შეადგენდენ, მათ უფრო უნდა შეეძლოთ სოციალისტურ პარტიასთან მუშაობა ვინემ ბურჟუებთან. თუ კი ვანდერველდესთვის და სხვებისთვის არ არის სასირცხო მუშათა კლასის მტრებთან მუშაობა, ჩემთვის კი რათ უნდა იყოს ცოდვა, რომ მუშურ გლეხურ მთავრობას ხელი შეუწყო მის აღმშენებლობითი მუშაობაში. და თუ ოდესმე ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში მხოლოდ მიტომ, რომ იმ დროს მასზედ უკეთესი სხვა არ მეგონა.

დღეს კი, ვხედავ რა საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებას მუშათა კლასის საკეთილდღეოთ, ვიზიარებ მის პლათფორმას და სამუდამოთ ხელს ვიღებ მენშევიკურ პარტიაზე, რადგან იგი მხოლოდ ხელს უშლის დანგრეულ სამეურნეო ცხოვრების მოწყობას.

გრიგოლ პეპინაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 38.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

პროკურატურის დებულების დამატების შესახებ.

პროკურატურის დებულების (დადგენილება 1922 წ. ნოემბრის 11 თარიღითა და 19 №-ით) დასამატებლად,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალთან დაწესებულ იქნეს სამხედრო პროკურატურა, რომელიც შევა იუსტიციის სახალხო კომისარიატის შედგენილობაში.

2. ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალთან არსებული სამხედრო პროკურატურა განახორციელებს საოლქო პროკურატურის ყველა უფლებას ზედამხედველობისა და დანაშაულობასთან ბრძოლისათვის ქართული მსროლელი დივიზიისა და საქართველოს სამხედრო კომისარიატის დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიმართ.

3. სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის დებულების მე-8-ე მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით.

— სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალთან იმყოფებიან სამხედრო პროკურორი და მისი თანაშემწენი, რომელთა რიცხვიც შტატით განისაზღვრება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 25,
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, ა. წ. 28 აპრილს საქ. კომ. ცენ. კომ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში დანიშნულია საპროგრამო-მეთოდიური კომისიის სხდომა. მიწვეულნი არიან ამ-ბი ბუაჩიძე ანდრო, იობიძე იზმაილი, თათარ შვილი ა გალაქტიონ, თალაკვაძე ისიდორე, დუდუჩავა, ალაგარდიანი, ცინცაძე ივანე, ესსენია, ჩიხლაძე ს., ხაჭაპურიძე და პუტილოვი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მარიამ (ცობო) და ვარლამ ძიძიგურები, ნათლიები: თამარ—სერგო გორგაძეები და ევგენია (გენო) ყიფშიძისა, ბიძები: ალექსანდრე და აკაკი გვახარიები; დიდედა ელისაბედ ჩიჩუას ასული მიქელაძისა, ბიცოლები: მატრო და საშა ძიძიგურებისა; დეიდა გუკა მიქელაძის ასული ჩიქოვანისა, ბიცოლა იულია გვახარიასი; ძმები: შოთა და კაკო ძიძიგურები, ბიძები: ნესტორ და ლავრენტი ძიძიგურები გულითად მადლობას სწირავენ ყველა მათ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საყვარელ

აჩიკოს (არჩილის)

დაკრძალვაში იოანე ღვთისმეტყველის სასაფლაოზე **ხუთშაბათს, 26 აპრილს,** ნაშუადღევის 4 საათზე. კრ. 602—1—1

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას

ვავა (ბარბარე) ვაჩნაძის

ასულის უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში.

დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. კრ. 601—1—1

ევგენი ნიკოლოზის ძე ოდიშარია აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს მისი დაუვიწყარ და ძვირფას ცოლის

ოლღა (ოლიჩკა)

ოდიშარიას

მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ უდროვოთ გარდაცვალების შესახებ, რომელიც მოხდა 25 აპრილს. ცხედრის გამოსვენება 27 აპრილს, დღის 3 საათზე. მისამართი: პასკევიჩის ქუჩა, № 4, ვერის სასაფლაოზე.

1—1

დღეს, 27 აპრილს,

სახელმწიფო ოპერა

ევგენი ონეგინი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კრ. 342—1—1

განცხადება

თფილისის საქონლის და საფონდო ბირჟის

27 აპრილიდან ბირჟის კრებები სწარმოებს 11-დან—12 საათამდე.

არა წევრნი თითეულ შესვლაზე დაშვებულ იქნებიან მორიგი ბირჟის კომიტეტის წევრის ნებართვით და ბირჟის ორი წევრის წერილობითი რეკომენდაციით.

კრ. 352 2—1 **ბირჟის კომიტეტი,**

ამ.-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს ტვირთის გადამზ[illegible] საყურადღებოთ, რომ ტფილისის სადგურთან დარსდა ავტო-ტრანსპორტის განყოფილება, რომელიც აწარმოებს ტვირთისა და საქონლის გადა[illegible] ზომიერ ფასებში გამგზავნელის სახლზე ტფილისის სადგურიდან ბინამდე. მაღაზიამდე და საწყობამდე.

ყველა კლიენტებმა, რომელთაც სურთ საქონლისა და ტვირთის გადატანა ავტო-ტრანსპორტით, უნდა აღნიშნონ საბარგო საბუთებში და ქვითარებში შემდეგი: „გადატანილი იქნეს სახლში ნაჩვენებ მისამართით“—სახელი, გვარი და სწორი მისამართი. საქონლის და ტვირთის გადაგზავნის ოპერაციები ხდება ქალაქის ტფილისის სადგურის განკარგულებით.

კრ. 347—5—1.

კლიოპკა 200 ცალი

მუხის—ზომა: 16 ვერ. × 2½—3 × ¾ ვერ.
" " 26 " × 2½—3 × ¾ "
" " 22 " × 2½—3 × ¾ "
" " 24 " × 2½—3 × ¾ "

და ფანერა 50000 ფურცელი

კაკლის, მუხის და თელის (კარაგაჩ)—ზომა საშუალოთ 3 არშინი×8—12 ვერ.

ყიდის

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ტყის დამუშავების განყოფ. სამმართველო, პირობების გაგება შეიძლება აღნიშნულ განყოფილების სამმართველოში. ტფილისი, ქსენიას ქ. № 5. (კრ. 348 1—2)

განცხადება

ა. / კ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს **სავაჭრო სამრეწველო წარმოებათა პატრონების, სახელმწიფო ტრესტების და სინდიკატების, დაწესებულებების და ორგანიზაციების, რომლებიც ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ თავიანთი ანგარიშები (საკრედიტო დაწესებულებები, სააქციონერო და შერეული საზოგადოებები, კოოპერატივები და სხ.)** და პირად სარეწავი საქმიანობის მქონე პირთა (საბირჟო მაკლერები, კომივოიაჟორები, ექსპედიტორები, ნოქრები და სხ. **საყურადღებოთ,** რომ ა. კ ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა და კომისართა საბჭომ ა. წ 5 აპრილს, გამოსცა **დეკრეტი** სარეწავი გადასახადის შესახებ, რომლის ძალით **შემოღებულია სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა და პირად საქმიანობის მქონე პირთა** დაბეგვრა ძირითადი სარეწავი გადასახადით სარეწავი მოწმობების აღების სახით.

ამის გამო ყველა ზემოაღნიშნული სავაჭრო-სამრეწველო წარმოებანი, დაწესებულებები და პირნი ვალდებულნი არიან აიღონ რესპუბლიკის ხაზინებიდგან სარეწავი მოწმობები მიმდინარე წლის პირველ ნახევრისათვის **არა უგვიანეს 15 მაისისა. აღნიშნულ ვადის შემდეგ იმ წარმოების მეპატრონეთ, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს და პირად საქმიანობის მქონე პირთ, რომელთაც არ აღმოაჩნდებათ სათანადო სარეწავი მოწმობები, რაიონის ფინანსთა ინსპექტორები შეუდგენენ ოქმებს, რომლის ძალით დამნაშავენი იქნებიან დაჯარიმებულნი მოწმობის ღირებულების ათმაგ ზომის რაოდენობით.**

სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა მეპატრონენი ვალდებულნი არიან ამავე ხნის განმავლობაში წარმოადგინონ რაიონის ფინანსთა ინსპექტორებთან (გადასახადთა ინსპექტორებთან) განცხადება 1923 წლის პირველ ნახევრისათვის 1922 წლის მეორე ნახევრის ბრუნვის და მოგების შესახებ.

სახელმწიფო ტრესტები და სინდიკატები, საკრედიტო დაწესებულებები, სააქციონერო და შერეული საზოგადოებები და კოოპერატივები თავიანთ ანგარიშებს ადგენენ, კანონით დაწესებულ ვადაში, ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილებაში.

საჭირო განმარტებები და განცხადებების ბლანკები დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ მიიღონ რაიონის ფინანსთა ინსპექტორებისაგან; დაწესებულებები, საზოგადოებები, კოოპერატივები და სხვა ანგარიშ ვალდებული წარმოებები მიმართავენ ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილებაში.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში
ბ. ხიმინეიშვილი.

გადასახადთა განყოფ. მმართველის მოადგილე
მეზირგანიშვილი.

კრ. 346—1—1

ტყე დახერხილი

სხვადასხვა ზომის

იყიდება ხუმბათოვის ბორჯომის მამულის ქარხანაში.

მიიღება შეკვეთა დამზადებაზე.

სახელ. ორგ., კოოპერატივები, სხვა ორგ. და კერძო პირები მიწვეულნი არიან მაგარი კონტრაქტის შესაკვრელათ ქარხნის მიერ დახერხილი ტყის მიწოდებაზე 30—40 ათასი კვადრატიული ვერშოკამდე ყოველთვიურათ.

მისამართი: თბილისი, საპირის ქ. 37, მთავარი საკურორტო სამმართველოს მეურნეობის განყოფილება.

344—3—2

საჯარო ვაჭრობა

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა. წ. 30 აპრილს დილის 12 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ხუთი სასწორების (თათრის მოედ., დესიმონოვის მოედ., მალაკნის მოედ., ნუნუფაროვის და მუხრანის რინოკზე) იჯარით გასაცემად ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15.000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში. დაწვრილებით კონდიციის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე აღმასკომში ოთახი № 50.

4—2

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ 1923 წ. 29 აპრილს, დილის 10 საათ., აღმასკომის დარბაზში (№ 12)

დანიშნულია

შეჯიბრება

აღმასკომისათვის 3000 კუბ. საჟ. **მაგარი ხარისხის შეშის** დამზადებაზე ფრანკო-აღმასკომის საწყობებში.

შეშის ჩაბარება შეიძლება ნაწილობრივათაც.

განცხადების მიღება დაწვრილებითი პირობებით შეიძლება ა. წ. 29 აპრილამდე დაბეჭდილ პაკეტებში აღმასკომის კომენდანტის ოთახში № 22.

ყოველივე ცნობებს ამის შესახებ აძლევს აღმასკომის კომენდანტურა.

პრეზიდიუმი.

5—3

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იწვევს ყველა მსურველთ მიიღონ მონაწილეობა წერილობითი ვაჭრობაში, რომელიც გაიმართება ამა წლის 11 მაისს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ქვემდებარე ქ. ტფილისის საავადმყოფოებისათვის საკმაო სიმსუქნის ძროხის ხორცის დამზადებაზე 15-20 ფ. რაოდენობით შემდეგი ვადით: 12 მაისიდან—1924 წლის 1 იანვრამდე.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნენ დაბეჭდილ კონვერტებით ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ქიმიურ-მატერიალურ განყ. (ევანგულოვის ქ., 12) ფუთი ხორცის ფასის აღნიშვნით და შემდეგი საბუთების წარდგენით: ხაზინის კვიტანცია ხელშეკრულების თანხიდან 10 პროც.-ის ბეთ შეტანის შესახებ ან საგირაო მოწმობა უფროსი ნოტარიუსისაგან დაგირავებულ ქონების შესახებ.

იჯარის გაცემის დროს ჯანმრთ. სახ. კომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ აგრეთვე კომისარიატის ინტერესებიდან გამომდინარე მოსაზრებებით.

(კრ. 351 3—1)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (501—25—12)

ქ. თბილისის მე-9 რაიონის სახალხო მოსამართლე იწვევს სოფიო ზაალიშვილს იგივე მამნიაშვილს როგორც მოპასუხეს საქმეზედ არტემ ავეტისოვის ძიებაზედ მასთან, რათა გამოცხადდეს იგი ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი თვის ვადაში სახალხო სასამართლოში ტურგენევის ქ. № 4 და განაცხადოს თავის ადგილის მყოფობის მისამართი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე მოსმენილ იქნება და გადაწყვეტილი, ხოლო უწყება მის სახელობაზედ დატოვებულ იქნება კანცელარიაში და ჩაითვლება ჩაბარებულად.

კრ. 603 1—1.

დავკარგე კაიშაურის სახელზე სირონის სასამართლოს მიერ გაცემული საოპეკუნო აღწერა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 598—1—1

დავკარგე აღრიცხვის ბარათი, მოცემული სენაკის სამაზრო სამხედრო კომისარისაგან № 2115. ივანე გლახუაძე ესაკიას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. (599—1)

დავკარგე ილინე პუშკოვის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა. 600—1—1

სავალდებულო დადგენილება

№ 26

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ს. მ. უ. ს.

მწარმოებლების სწორად აღრიცხვის და ს. ს. ს. რ. კერვის წარმოების ორგანიზაციის საკითხების მოწესრიგების მიზნით, ცხადდება ყველა იმ პირების რეგისტრაცია, რომლებიც კერვის მრეწველობაში მუშაობენ, სახელდობრ:

სამოქალაქო ტანსაცმელის წარმოება, სამხედრო ტანსაცმელის წარმოება, ქალებისა და ბავშვების ტანსაცმელის წარმოება, სამოქალაქო საცვლების წარმოება, [illegible]-ს წარმოება, კორსეტ-სალტეების წარმოება, ქურქების წარმოება, [illegible], ქუდების წარმოება, ხელოვნური ყვავილების წარმოება,

რეგისტრაციაში უნდა გატარდენ:

1) **ყველა ცალკე ხელოსნები,** რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ წარმოებებში მუშაობენ, არ არიან პროფ-კავშირის წევრი და არ ირიცხებიან აღრიცხვაზე შრომის ბირჟაში, როგორც უმუშევრები.

2) **შინამრეწველები,** თუ გინდ მათ საკუთარი მაღაზიები არ ქონდეთ, რომლებიც მუშაობენ სახლში და დაკვეთებს იღებენ დამოუკიდებლად ან მსხვილი მწარმოებლების საშუალებით.

3) **მწარმოებლები, რომელთაც აქვთ საკუთარი** მაღაზიები, სახელოსნოები და სარგებლობენ დაქირავებ. შრომით, რა ზომისაც არ იყოს ის.

4) **მოიჯარადრე-აგენტები,** რომელთაც თუმცა არა აქვთ სახელოსნოები, მაგრამ ოფიციალურად გამოდიან სხვა და სხვა დაწესებულებებში სხვა და სხვა შესაკერავის მიღების წინადადებით.

რეგისტრაცია ქ. თბილისში სწარმოებს **ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში** ყოველ დღე **დილის 9 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე გარდა კვირა-უქმე დღეებისა: პროვინციაში** საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს 17 აპრილის თარიღით № 25 დადგენილების მიხედვით.

რეგისტრაციის უკანასკნელი ვადაა ა. წ. 1-ლი ივნისი.

ის პირები, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში და გვერდს აუხვევენ ამ დადგენილების გატარებას, დაჯარიმებული იქნებიან 100 მან. ოქროთი.

ამ დადგენილების ასრულებისათვის თვალყურის დევნება ევალება ს. მ. უ. ს. სამრეწველო ინსპექციას და იმ პირებს, რომლებიც ამის შესახებ ს. მ. უ. ს. ეკონომიური განყოფილების მანდატს წარმოადგენენ.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე: **შ. ელიავა.**

კრ. 345 1—1

ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი: **სვიმონიშვილი.**